# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 66 (1082) | ხუთშაბათი, 15 ივნისი, 1995 წელი. | ფასი 200 000 კუპონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან „პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ფართომასშტაბიანი ხელშეკრულების მოსამზადებლად მოლაპარაკების დაწყების თაობაზე

ამა წლის 12 ივნისს, ევროკავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა ევროკომისიის მიერ მომზადებული მოხსენება და რეკომენდაციები კავკასიის რეგიონში ევროკავშირის სტრატეგიის შესახებ. აღნიშნული ვრცელი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აანალიზებს სამ ქვეყანაში შექმნილ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებას, ისახავს დახმარებისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმებს, კერძოდ, რეგიონის ქვეყნების დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აქტიურ მხარდაჭერას. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და დემოკრატიზაციის პროცესში ქმედით დახმარებას, ფართო რეგიონულ თანამშრომლობას (ვაჭრობა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის რეკონსტრუქცია, ინსტიტუციონული მშენებლობა, ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ენერგეტიკა), ჰუმანურ და ტექნიკურ, სოფლის მეურნეობისა და საკვები პროდუქტებით დახმარებას, ფინანსურ მხარდაჭერას (საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მეშვეობით, ასევე თანამშრომლობას დონორ ქვეყნებთან, პოლიტიკური და [illegible] დიალოგის წარმართვას სხვადასხვა საკითხებზე. მათ შორის, უშიშროების, ორგანიზებული დამნაშავეობის, ტერორიზმის და სხვა პრობლემებზე.

მინისტრთა საბჭომ მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ქვეყნებს და ევროკავშირს შორის მოლაპარაკების დაწყებას ფართომასშტაბიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის პარტნიორობის ხელშეკრულების მოსამზადებლად. აღნიშნულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით მიღებულია განცხადება.

— ევროკავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, — განუცხადა საქინფორმის კორესპონდენტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**, — სწორედ ამ ხელშეკრულების თაობაზე, ისევე, როგორც სხვა საკითხებზე, მქონდა საუბარი ევროკომისიის თავმჯდომარესთან, ბატონ სანტერთან. მოლაპარაკების დაწყება თავისთავად ჩვენში მიმდინარე სტაბილიზაციისა და რეფორმების განხორციელების პროცესის აღიარებაა, იგი დიდად შეუწყობს ხელს დასავლეთთან საქართველოს ურთიერთობის თვისებრივად ახალ დონეზე აყვანას და თანამშრომლობის პრაქტიკული ეტაპის დაწყებას.

ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, საქინფორმის კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბენილუქსის ქვეყნებში და ევროკავშირთან საქართველოს რესპუბლიკის ელჩს **ზურაბ აბაშიძეს** და სთხოვა კომენტარი.

— უწინარესად, უნდა აღვნიშნო, რომ ევროკავშირი, რომელიც დღესდღეობით ევროპის 15 სახელმწიფოს აერთიანებს, საქართველოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიკური მოკავშირეა. ევროკავშირი რომ არა, ქვეყანას ნამდვილად გაუჭირდებოდა ბოლო წლებში თავის გატანა, მარტო წლეულს, ევროკავშირიდან უსასყიდლოდ შემოსული პროდუქტების რეალიზაციამ შეადგინა ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის თითქმის 25 პროცენტი, ბოლო ნახევარი წლის მანძილზე საქართველო მეტწილად სწორედ ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსული ხორბლითა და სხვა პროდუქტებით იკვებება. თითქმის ასეთივე ვითარება იყო გასული ორი წლის მანძილზეც. ასე რომ, თვითონ განსაჯეთ.

როგორც ამას წინათ აღნიშნავდა ერთ-ერთი დიდი ევროპული გაზეთი, საქართველო ეკონომიკურად ახლა ყველაზე მეტად ევროკავშირზეა დამოკიდებული, მაგრამ ეს თანამშრომლობისა და დახმარების მხოლოდ ერთი ნაწილია, ევროკავშირის მონაწილეობით ხორციელდება სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი პროექტები, რომლებმაც ახლო მომავალში პრაქტიკული შედეგები უნდა მოიტანოს.

რაც შეეხება 12 ივნისის გადაწყვეტილებას, ეს მართლაც რომ უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. თუკი ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოს მიმართ აქამდე უმთავრესად ჰუმანური და ტექნიკური დახმარების სპექტრში განიხილებოდა, ახლა ლაპარაკია ევროკავშირის ახალ სტრატეგიაზე ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოში. იგი გულისხმობს ჩვენი ურთიერთობის საკანონმდებლო საფუძვლის შექმნას, ანუ ფართომასშტაბიანი პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების მომზადებას. ეს ასევე ნიშნავს მუდმივ პოლიტიკურ დიალოგს, დახმარების სხვადასხვა ფორმებს (ჰუმანური, ფინანსური, საკონსულტაციო და სხვა), ერთობლივ ძალისხმევას რეგიონალური კონფლიქტების მოგვარების საქმეში და ა. შ., საბოლოო ანგარიშით კი — ევროკავშირის ახალ როლსა და ფუნქციებს ამიერკავკასიაში.

მიღებული გადაწყვეტილება პრაქტიკულად მთლიანად ადასტურებს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის იმ მოსაზრებებს, რომ ინტეგრაციული პროცესები თანამეგობრობასა და ევროკავშირში არა ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებია, არამედ პირიქით — ერთმანეთისაკენ მიმართული ორი მიმდინარეობა.

— რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა მოსალოდნელი 12 ივნისის გადაწყვეტილების შემდეგ?

— უწინარეს ყოვლისა, დაიწყება მოლაპარაკება პარტნიორობის ხელშეკრულების მოსამზადებლად, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ევროკავშირი დადებითად აფასებს ჩვენში მიმდინარე სტაბილიზაციისა და დემოკრატიზაციის პროცესს, ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას. მოლაპარაკების პოლიტიკური პროცესი ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია ევროკავშირის პოლიტიკის განხორციელებისას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში. ამ კონტექსტით, ალბათ, აღსანიშნავია, რომ ევროკავშირი ჯერ თავს იკავებს ანალოგიური მოლაპარაკებისაგან იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან, სადაც არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს რეფორმები, ირღვევა ადამიანის უფლებები. ეს პროცესი ჯერჯერობით შეჩერებულია რუსეთთან ჩეჩნეთის კონფლიქტის გამო. უახლოეს თვეებში ველით გადაწყვეტილებას 1995-1996 წლებში საქართველოსათვის კვების პროდუქტებით დახმარების შესახებ, ასევე ჩვენი ენერგოსისტემისა და სოფლის მეურნეობისათვის სახსრების და სხვადასხვა რესურსების გამოყოფის თაობაზე. განხილვის სტადიაშია ფინანსური დახმარებაც, ყოველივე ამან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენში არსებული პრობლემების მოგვარებას, მოსალოდნელია წლეულს ევროკავშირის მაღალი დონის დელეგაციის სტუმრობაც საქართველოში.

უნდა მოგახსენოთ, — თქვა დასასრულ ბატონმა ზურაბ აბაშიძემ, — რომ ევროპელები ოპტიმალურად აფასებენ საქართველოს სამომავლო პერსპექტივებს, რომ არა ეს ოპტიმიზმი და გარკვეული დაინტერესება, ალბათ, არც ახალი სტრატეგიის შემუშავებაზე იფიქრებდნენ.

საქინფორმი.

## თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირი

14 ივნისს თბილისში მუშაობას შეუდგა თანამეგობრობის ქვეყნების შინაგან საქმეთა მინისტრების თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს დედაქალაქში ჩამოვიდნენ თანამეგობრობის ქვეყნების 12 სახელმწიფოს შინაგან საქმეთა მინისტრები, აგრეთვე ლატვიისა და ესტონეთის დელეგაციები, რომლებიც წარმოდგენილი არიან მეთვალყურის სტატუსით. ჩვენს რესპუბლიკას ეწვივნენ ინტერპოლის გენერალური მდივანი რაიმონდ კენდალი, თანამეგობრობის ქვეყნების ტერიტორიებზე ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის საკოორდინაციო ბიუროს დირექტორი ვიაჩესლავ პარფენტიევი.

## ვულოცავთ!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი თავის ერთგულ თანამდგომსა და მეგობარს, პარლამენტის წევრს ბატონ **ანზორ თავართქილაძეს** გულწრფელად ულოცავს დაბადების 55-ე წლისთავს და უსურვებს ჯანმრთელობასა და წარმატებებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გულითადად ულოცავს რედაქციის ვეტერან თანამშრომელს **თენგიზ (გიზო) ყიფიანს** დაბადების 70 და რედაქციაში მუშაობის 50 წლისთავს, უსურვებს ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

### ალექსანდრე გრიბოედოვი — 200

## რუსული კულტურის ცენტრის პრეზენტაცია

**12 ივნისს** ა. ს. გრიბოედოვის დაბადების 200 წლისთავის დღესასწაულის ფარგლებში თბილისში გაიმართა რუსული კულტურის ცენტრის პრეზენტაცია. ცენტრის მიზანია კიდევ უფრო გააფართოოს ურთიერთობა ორ ხალხს შორის მრავალსაუკუნოვანი სულიერი ერთობის საფუძველზე. პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, პრემიერ-მინისტრი ოთარ ფაცაცია, რუსეთის დელეგაციის წევრები, ქართული კულტურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწენი, რუსული კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებების, მართლმადიდებლური სამღვდელოების, საქართველოში რუსული დიასპორის წარმომადგენლები.

ცენტრის პრეზენტაცია გახსნა რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ მაია კობახიძემ. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ მოვლენას რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რუსეთის დელეგაციის მეთაურმა, რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვადიმ დიომინმა.

რუსეთის ფედერაციის ელჩმა საქართველოში ვლადიმერ ზემსკიმ რუსეთის პრეზიდენტის სახელით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს მადლობა მოახსენა ცენტრის გახსნის ინიციატივისა და ხელშეწყობისათვის, დიდი წვლილისათვის ხალხთა შორის სულიერი ძმობის განმტკიცებაში, რისი დასტურიც არის რუსული კულტურის ცენტრის გახსნა.

ცენტრის პრეზიდენტად არჩეულია საქართველოს თვალსაჩინო მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე ალექსი გერასიმოვი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, რომ დასრულდა რუსეთთან საქართველოს ურთიერთობაში ერთგვარი გაუცხოება. მისი აზრით, გამარჯვება დარჩა კეთილი ნების ადამიანთა სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას. კულტურისა და ხელოვნების ენაზე სჯა-ბაასი ნებისმიერ ოქმსა და მოლაპარაკებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია. აღნიშნა რა, რომ ა. ს. გრიბოედოვის იუბილეს დღესასწაული საქართველოში დაემთხვა რუსეთის დამოუკიდებლობის შესახებ დეკლარაციის მიღების 5 წლისთავს, მან მიულოცა პრეზიდენტ ბორის ელცინსა და ყველა რუსეთელს დღესასწაული. — ყოველთვის მიმაჩნდა და მიმაჩნია, — თქვა ე. შევარდნაძემ, რომ რუსეთის დამოუკიდებლობა, სუვერენიტეტი და ძლიერება საქართველოსა და სხვა სუვერენულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის გარანტია.

პრეზენტაციაზე გამოვიდნენ საქართველოს საუკეთესო მუსიკალური კოლექტივები.

* * *

**სურათზე:** საქართველოში რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენელი მამა მიხეილი ალექსანდრე ნეველის ეკლესიიდან ესაუბრება ვადიმ დიომინს.

**ალექსანდრე იმედაშვილის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## საქართველოს ისტორიასთან წილნაყარი

**ალექსანდრე** გრიბოედოვის 200 წლისთავი რუსეთში წლეულს იანვარში აღინიშნა. იუნესკოს გადაწყვეტილებით ეს თარიღი მსოფლიომ იზეიმა. ახლა ეს დღესასწაული სრულიად კანონიერად იმ მიწაზე მოვიდა, რომელსაც დიდი რუსი პოეტი და მოაზროვნე თავის მეორე სამშობლოდ თვლიდა, იმ მიწაზე, სადაც თავისივე ანდერძის მიხედვით, სამუდამო განსასვენებელი ჰპოვა.

სამი დღე ზეიმობდა საქართველო დიდი რუსი პოეტის და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე გრიბოედოვის 200 წლისთავს. ამ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში მოსკოველი, სანკტ-პეტერბურგელი, სმოლენსკელი, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქების წარმომადგენელთაგან შემდგარი დელეგაცია ჩამოვიდა, რომელსაც ხელმძღვანელობდა რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრის მოადგილე ვადიმ დიომინი.

საიუბილეო ზეიმის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ღონისძიება იყო წინანდალში, ალექსანდრე ჭავჭავაძის სახელობის სახლ-მუზეუმში 11 ივნისს ჩატარებული მრგვალი მაგიდა. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ გაიმართა დაინტერესებული საუბარი რუსულ-ქართული კულტურული ურთიერთობის შესახებ. მისი რეზიუმე ასეთი იყო: ორი მეზობელი ერის ურთიერთობა ცხოვრების ნებისმიერ სფეროში ისე დიდი ხნისაა, იმდენად მდიდარია, რომ მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია, ურთმანეთოდ ჩვენ გაგვიჭირდება!

რუსი სტუმრები აღტაცებაში მოიყვანა კახურმა მასპინძლობამ, ამ კუთხის მართლაცდა მომაჯადოებელმა სიმღერებმა. დღესასწაულმა გვიან ღამემდე გასტანა.

12 ივნისს რუსეთის დელეგაციის წევრებმა პატივი მიაგეს ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავს მთაწმინდაზე, ყვავილებით შეამკეს მისი ძეგლი თბილისში.

შუადღისას ზეიმის მონაწილეები ეწვივნენ იოსებ გრიშაშვილის სახელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმს, სადაც გაიხსნა თემატური გამოფენა „ალექსანდრე გრიბოედოვი და მე-19 საუკუნის თბილისი“.

**12 ივნისს** თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ალექსანდრე გრიბოედოვის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. იგი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ.

— ამ თარიღს, — თქვა მან, — ქართველი ერი აღნიშნავს არა როგორც უცხო ქვეყნის მწერლის იუბილეს, არამედ, როგორც საქართველოს ისტორიასთან წილნაყარი რუსი კლასიკოსის საიუბილეო ზეიმს.

მართლაც ზეიმია მისი შემოქმედება, რადგან იგი არის პოეზიის, ფილოსოფიური აზროვნებისა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის მწვერვალი. თაობები აღიზარდნენ და აღიზრდებიან გენიალურ პოემაზე „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც სასწაულებრივად ეხმიანებოდა ყველა ეპოქას და დღევანდელ ჩვენ ურთულეს ყოფიერებასაც საკუთარ თავში ჩაახედებს. დღეს ამაზე ბევრი რამ ითქმება უთუოდ.

ითქმება იმის შესახებაც, თუ რა დიდი სიყვარული, შექსპირის გმირების ტოლფასი სიყვარული მქონდათ მას და ნინო ჭავჭავაძეს, როგორი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა გრიბოედოვს იმ დროის ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან, როგორ ესმოდა მას ქართველი მამულიშვილებისა, რადგან თვითონ იყო თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი.

ამიტომ შეითვისა და შეიყვარა იგი ქართველმა ერმა, ამიტომ განისვენებს იგი წმინდა ადგილზე ქართულ მიწაში.

ეს სიმბოლო, გრიბოედოვის სახელთან დაკავშირებულ სხვა სიმბოლოებთან ერთად, რომლებიც თბილისში გვაქვს, არის არა მარტო დიდი მწერლისადმი პატივისცემისა და აღიარების ნიშანი, არა მარტო მადლიერების გამომჟღავნება მისდამი, არამედ ნიშანსვეტი ორი ხალხის — ქართველი და რუსი ხალხის სულიერი კავშირის, გნებავთ, სულიერი ერთობის მაჩვენებელი.

ეს კავშირი გრძელდება დღესაც და ამის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინება იყო ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა მონაწილეობა მოსკოვში, ალექსანდრე გრიბოედოვის საიუბილეო დღეებში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ლიტერატურის მუზეუმის მიერ მოწყობილი ექსპოზიცია მოსკოველთა თხოვნით მეექვსე თვეა გრძელდება და დამთვალიერებელთა ნაკადი არ აკლდება.

დიდ წინაპართა მაგალითი თვისებურ როლს ასრულებს საქართველოსა და რუსეთს შორის თვისებრივად ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. დღეს ჩვენს საზეიმო სხდომას ესწრება რუსეთის ფედერაციის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია კულტურის მინისტრის მოადგილის ბატონ ვადიმ დიომინის მეთაურობით, და ესეც მრავლისმეტყველი ფაქტია.

თქვენს აქ ჩამობრძანებას, თქვა დასასრულ ბატონმა ოთარ ფაცაციამ, ჩვენ ვაფასებთ არა მარტო როგორც პოეტისადმი ღრმა პატივისცემას, არამედ როგორც რუს და ქართველ ხალხებს შორის ტრადიციული კულტურული ურთიერთობის გაგრძელებას. საბედნიეროდ, ვერავითარმა პოლიტიკურმა ქარებმა, ვაი-პოლიტიკოსების მცდელობამ ვერ შეძლეს ჩრდილი მიეყენებინათ ორი ხალხის ძმობისათვის, მათი ლიტერატურების მეგობრობისათვის.

სიტყვა ალექსანდრე გრიბოედოვზე საღამოზე წარმოთქვა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა იგორ ბოგომოლოვმა. საღამოზე გამოვიდნენ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის მინისტრი დავით მაღრაძე, მოსკოველი ლიტერატურათმცოდნე სერგეი კონჩევი, იუნესკოს გენერალური მდივნის მოადგილე ვლადიმერ ლომეიკო, საქართველოს რესპუბლიკის თეატრალური კავშირის თავმჯდომარე გიგა ლორთქიფანიძე, რუსეთის ფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, პოეტი მიხეილ ქვლივიძე.

რუსეთის ფედერაციის დელეგაციის ხელმძღვანელმა, რუსეთის კულტურის მინისტრის მოადგილემ ვადიმ დიომინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა:

— ჩვენი ხალხების ძმობამ და მეგობრობამ საუკუნეებს გაუძლო, — ღრმად მჯერა იგი გაუძლებს ყველა გამოცდას. ამაში იმანაც დამარწმუნა, თუ რა გულწრფელობით გვიღებენ ჩვენ ამ დღეებში საქართველოში. მადლობა მინდა ვუთხრა ქართველ ხალხს იმისათვის, რომ თავის წმიდათაწმიდა, სანუკვარ მიწაზე რუს პოეტს მიუჩინა განსასვენებელი...

საიუბილეო საღამო დაამშვენა ხელოვნების ოსტატთა კონცერტმა.

საქინფორმი

## საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ედუარდ შევარდნაძეს

ძვირფასო პრეზიდენტო,

მადლობას მოგახსენებთ 1995 წლის 17 მარტის თქვენი გულთბილი წერილისა და საქართველოში მოწვევისათვის.

რაც შეეხება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ საქართველოსათვის სპეციალური სტუმრის სტატუსის მინიჭებას, ეს პროცესი უკვე დაიწყო. ევროპის საბჭოს არაწევრ სახელმწიფოთა კომიტეტმა მომხსენებლად დანიშნა ბატონი ჯონ ქამინგზი (გაერთიანებული სამეფო), ხოლო პოლიტიკური საქმეების კომიტეტმა ეს მოვალეობა ქალბატონ ჰანა სუხოცკას (პოლონეთი) დააკისრა. დავამყარეთ კონტაქტი თქვენს საელჩოსთან პარიზში, რათა დავეხმაროთ მას საქმიანობაში. კვლავაც შეგატყობინებთ მოვლენების განვითარებას.

ვიმედოვნებ, რომ კომიტეტები თავის დროზე წარუდგენენ ასამბლეის ბიუროს თავიანთ მოხსენებებს გადაწყვეტილების მისაღებად. დიდი სიამოვნებით ვისარგებლებ თქვენი მოწვევით და გესტუმრებით თბილისში, რათა დავადასტურო ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რასაც საქართველოს რესპუბლიკასა და ევროპის საბჭოს შორის ოფიციალური ურთიერთობის დამყარება ჰქვია.

მოუთმენლად ველი თქვენთან შეხვედრას.

გულწრფელად

**მიგელ ანხელ მარტინესი,**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო საბჭოს პრეზიდენტი.

## ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს

პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

მადლობას მოგახსენებთ 1995 წლის 20 მარტს გამოგზავნილი წერილისა და ევროპის კავშირში შვედეთის გაწევრიანების გამო მოლოცვისათვის.

რაც შეეხება ამიერკავკასიის სახელმწიფოებისათვის დახმარების გაწევას, მსურს გაცნობოთ, რომ შვედეთი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კავკასიის ჰუმანიტარული პროგრამის დიდი მონაწილე — ყურადღებით ადევნებს თვალს თქვენს ქვეყანაში შექმნილ ჰუმანიტარულ სიტუაციას. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ქვეყანაში ადგილნაცვალ პირთა დიდი ჯგუფებისა და სხვა ნაკლებად დაცული ჯგუფების სურსათით მომარაგების საკითხი. სწორედ ამიტომ, ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ მსოფლიო სასურსათო პროგრამის საქმიანობას საქართველოში. 1994-95 წლებში შვედეთის მიერ შემოწირული 17 მილიონი კრონიდან მსოფლიო სასურსათო პროგრამისათვის გამოიყო 7 მილიონი შვედური კრონი. ამას გარდა, შვედეთი გამოყოფს სახსრებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრისა და იუნისეფისათვის. ჰუმანური პროგრამის მოქმედების დაწყებიდან დღემდე შვედეთმა საქართველოს გამოუყო 81,5 მილიონი შვედური კრონა.

შვედეთი მხარს უჭერს საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოსათვის დახმარების გაწევის თავიანთი პროგრამების ფარგლებში, მაგალითად, საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს.

როგორც ევროპის კავშირის წევრი, მიმდინარე წლის იანვრიდან შვედეთი მონაწილეობს ტასისის ფარგლებში საქართველოს ხელშეწყობის პროგრამას. როგორც დაინახავთ, თავისი საერთო პროგრამის ფარგლებში ტასისმა პრიორიტეტი მიანიჭა სასოფლო-სამეურნეო სექტორის მხარდაჭერას, რათა გაზარდოს ძირითადი კვების პროდუქტების წარმოება და ხელი შეუწყოს გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებას მისი პროდუქციის ექსპორტისათვის.

რაც შეეხება ევროპის გაერთიანებისადმი საქართველოს დარჩენილ დავალიანებას, საბჭოს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მძიმე მდგომარეობის გამო შემიძლია აღვითქვათ, რომ შვედეთი დადებითად მოეკიდება შესაძლო წინადადებას ხელსაყრელი პირობებით ამ მოთხოვნათა გადავადებას ან ხელახალ სტრუქტურირებას.

შვედეთი კვლავაც აქტიურად ადევნებს თვალს და დაუჭერს მხარს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ძალისხმევას თქვენს ქვეყანასა და მის გარშემო სტაბილური და მშვიდობიანი სიტუაციის შექმნას, რათა ბოლო მოეღოს საქართველოს დუხჭირ ყოფას.

პატივისცემით,

**ინგვარ კარლსონი,**

შვედეთის პრემიერ-მინისტრი.

სტოკჰოლმი. 1995 წლის 18 მაისი.

### რით ვუშველოთ საქართველოს? ხელი — ხელს, გული — გულს, მხარი — მხარს!

## საქვეყნო საქმე

### ზოგი რამ აბაშელთა ახლებური მუშაობის გამოცდილებიდან



**ძალიან** მყვირალა და ტრაფარეტული სათაური გამომივიდა, არა? გეთანხმებით, მაგრამ თუ იგი მაინც უყოყმანოდ გამოვიყენე, მხოლოდ იმიტომ, რომ ის, რაზეც დღეს უნდა მოგითხროთ, მართლაც საქვეყნო საქმეა, რადგან...

თუმცა, ვიდრე ამის თაობაზე ჩემს აზრს მოგახსენებდეთ, მოკლედ გაგაცნობთ საქართველოს პარლამენტის რამდენიმე წევრის შთაბეჭდილებას.

**ჯუმბერ პატიაშვილი:** სააქციო საზოგადოების მიერ გაწეული მუშაობა და მისი საქმიანობის სადღეისო მეთოდები ანჯელის უხვმოსავლიანი ფართობების ათვისების ერთადერთი სწორი გზაა. ხვნის დროს მექანიზატორები რომ უშუალოდ სამუშაო ადგილებზე არიან დაბინავებულნი და მისვლა-მოსვლით არ ცდებიან, ესეც მოსაწონია. მატერიალური დაინტერესების ის ფორმა, რომელიც სააქციო საზოგადოება „ანჯელის“ საქმიანობის მექანიზმშია ჩადებული, მოსაწონი და მხარდასაჭერია. ეს არის დოვლათის სიუხვის, ხალხის დასაქმების, დამატებითი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის, გადამამუშავებელი მრეწველობის მთელი დატვირთვით ამოქმედების საშუალება. მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ აქ მარტო ჰიბრიდები კი არა, სამარცვლე სიმინდიც დაითესოს. რათა ადგილობრივი ჯიშები არ დაიკარგოს და მათზე მოსახლეობის მოთხოვნილებაც დაკმაყოფილდეს. აუცილებლად უნდა აღდგეს ქეთილარის მეცხოველეობის კომპლექსი, რომელიც იაფ პროდუქციას შექმნის.

**ნუგზარ ნადარაია:** „ანჯელის“ მიერ დასახული მიზნების მიღწევის გარანტად მესახება აქციონერთა ნებაყოფლობითი, ყოველგვარი ძალდატანებისა და ზეწოლის გარეშე, გაერთიანება, რაზეც გასულ წლებში ფიქრიც წარმოუდგენელი იყო, აგრეთვე მათი დანაზოგებისა თუ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ასევე ნებაყოფლობით ჩართვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა აგროვადებში შესასრულებლად. რატომ არის ასეთი საყოველთაო ნებაყოფლობითი მოძრაობა სააქციო საზოგადოებაში გაერთიანებისთვის? — იმიტომ, რომ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების გათვალისწინებით ამ მეთოდით მუშაობისას გამორიცხულია სახელმწიფოს დიქტატი ნებისმიერ სფეროში, მათ შორის, ფასების დადგენისა და დიფერენციაციის კუთხითაც. აქციონერი მართლაც გახდა მიწის უშუალო ბატონ-პატრონი და, ამდენად, სწორედ მის გერგილიანობასა და ყაირათიან მუშაობაზეა დამოკიდებული საქმიანობის საბოლოო შედეგებიც. ამიტომაც არ იშურებენ გარჯას...

**არნოლდ ფენდერავა:** მე 16 წელიწადი ვხელმძღვანელობდი ოჩამჩირის რაიონის ილორის კოლმეურნეობას და კარგად ვიცი, რამდენ ორგანიზებული, დაძაბული და დაინტერესებული შრომაა საჭირო იმისათვის, რომ აპრილის შუაგულისთვის ნიადაგი მზად იყოს დასათესად. „ანჯელის“ აქციონერებს ეს მოუხერხებიათ. თანაც მხოლოდ საკუთარი ძალებითა და სახსრებით. ეს კი ნიშნავს, რომ ხალხი ენდობა ამ თაოსნობის ინიციატორს ბატონ თენგიზ კალანდაძეს, ენდობა სააქციო საზოგადოებას და ყველაფერსაც აკეთებს მიზნის მისაღწევად. საქმიანობის ეს ფორმა დღეს სოფლად მუშაობის საუკეთესო საშუალებაა და მას ყოველმხრივი მხარდაჭერა სჭირდება.

**ანზორ თავართქილაძე:** მოხარული ვარ, რომ „ანჯელის“ აქციონერები ასე კარგად მუშაობენ. მადლობელი ვარ აბაშის რაიონის ხელმძღვანელობისა და, საერთოდ, „ანჯელის“ თითოეული აქციონერისა იმისათვის, რომ მათი დახმარებით სოფლად საქმიანობის ეს კარგი ფორმა ჩემს მშობლიურ რაიონში — ჩოხატაურშიც დაინერგა (ამის თაობაზე და ჩოხატაურში პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ გასვლით სხდომაზე ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ მორიგ ნომერში ცალკე მოგითხრობთ — რ.რ.).

ეს მოკლე სახელდახელო ინტერვიუები აბაშის რაიონში პარლამენტართა კავშირ „თანადგომის“ გასვლითი სხდომის მონაწილეთა ერთი ჯგუფისაგან უშუალოდ ანჯელის მასივში ყოფნისას ავიღე. პარლამენტარები საგანგებოდ ჩამოვიდნენ აბაშაში, რათა ადგილზე გაცნობოდნენ ახალჩამოყალიბებული სააქციო საზოგადოების საქმიანობას, აქციონერთა გარჯის პირველ შედეგებს და, საჭიროებისას, დახმარება და თანადგომაც გაეწიათ მათთვის.

და კიდევ ერთი მოკლე ინტერვიუ, რომელიც უკვე ორიოდე კვირის წინათ კვლავ უშუალოდ ანჯელის მასივში ყოფნისას ავიღე:

— ის, რაც აბაშელ აქციონერებს ასეთ შემჭიდროებულ ვადებში და ასე ხარისხიანად გაუკეთებიათ ანჯელში, დღევანდელი პირობების გათვალისწინებით ერთდროულად გასაოცარი, მისასალმებელი და ყოველმხრივ მხარდასაჭერიც არის. დღევანდელი პირობების-მეთქი, ხაზგასმით იმიტომ ვამბობ, რომ მაისის მიწურულისთვის ანჯელში ასეთი კარგი მდგომარეობა 80-იან წლებშიც იყო, მაგრამ მაშინდელი და ამჟამინდელი სიტუაციის შედარება ხომ შეუძლებელია! სხვას ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაშინ ამ მასივში ხვნა-თესვაზე 10-12 კოლმეურნეობის ტექნიკა და მექანიზატორები მუშაობდნენ ერთდროულად, ყველაფრის მომარაგებაც, მოგეხსენებათ, ცენტრალიზებული და კონვეიერივით აწყობილი იყო. ახლა კი ყველაფერი მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობებითა და ძალებით გაკეთდა.

ეს სიტყვები სამეგრელოს სამხარეო კონტროლის პალატის ხელმძღვანელს გურამ გუნავას ეკუთვნის, ადამიანს, რომელიც 80-იან წლებში რამდენიმე წლის მანძილზე მისთვის ორგანულად დამახასიათებელი საქმის ცოდნით, შესაშური პასუხისმგებლობითა და ერთგულებით ხელმძღვანელობდა აბაშის რაიონს და აქაურთა საერთო სიყვარული და პატივისცემაც დაიმსახურა. მას სამეგრელოს მხარეში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულთან გივი ლომინაძესთან და რაიონის ხელმძღ-

(დასასრული მე-2 გვ.).

## ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ

**მსოფლიოს** სხვადასხვა ქვეყნების ხელმძღვანელებისაგან საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სახელზე კვლავ მოდის მისალოცი დეპეშები, ჩვენი ქვეყნის ეროვნული დღესასწაულის გამო. დეპეშები გამოგზავნეს გაეროს გენერალურმა მდივანმა **ბუტროს-ბუტროს ღალიმ**, ესპანეთის მეფემ **ხუან კარლოსმა**, იორდანიის ჰაშიმელთა სამეფოს მეფემ **ჰუსეინ პირველმა**, ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ვაცლავ ჰაველმა**, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ლეხ ვალენსამ**, უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **არპად გონცმა**, უნგრეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა **გიულა ჰორნმა**, კვიპროსის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **გლაფკოს კლერიდესმა**, იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზორან ლილიჩმა**, იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის საკავშირო მთავრობის თავმჯდომარემ **რადოე კონტიჩმა**, იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის საკავშირო სკუპშჩინის მოქალაქეთა ვეჩეს თავმჯდომარემ **რადომან ბოჟოვიჩმა**, იუგოსლავიის საკავშირო რესპუბლიკის საკავშირო სკუპშჩინის რესპუბლიკათა ვეჩეს თავმჯდომარემ **მილოშ რადულოვიჩმა**, ლიტვის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ალგირდას ბრაზაუსკასმა**, მოლდოვის პრეზიდენტმა **მირჩა სნეგურმა**, ტაჯიკისტანის პრეზიდენტმა **ემომალი რახმონოვმა**, დაღესტნის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ **მ. მაგომედოვმა**, დაღესტნის სახალხო კრების თავმჯდომარემ **მ. ალიევმა**, დაღესტნის მთავრობის თავმჯდომარემ **ა. მირზაბეკოვმა**, კოლექტიური უშიშროების საბჭოს გენერალურმა მდივანმა **ვ. შაბაშნიკოვმა**, ტუნისის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ზინ ელ აბიდინა ბენ ალიმ**, ხორვატიის პრეზიდენტმა დოქტორმა **ფრანჯო ტუჯმანმა**, საბერძნეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **კონსტანტინოს სტეფანოპულოსმა**, განის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ჯერი ჯონ როლინგსმა**, ავსტრიის გენერალ-გუბერნატორმა **ბილი ჰეიდენმა**, ეგვიპტის პრეზიდენტმა **მუჰამედ ჰოსნი მუბარაქმა**, შრი ლანკის დემოკრატიული სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ჩანდრიკა ბანდარანაიკე კუმარატუნგამ**, პოლკოვნიკმა **მუამარ კადაფიმ** (ლიბიის დიდი სოციალისტური სახალხო არაბული ჯამახირია), მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ერნესტო სედილიო პონსე დე ლეონმა**, ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა **ლიამინ ზერუალმა**.

## ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

**გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმების ერთობლივი გაფართოებული სხდომა. სხდომაზე ინფორმაცია აფხაზეთში მომხდარი ტრაგედიის, სამხედრო დამარცხების მიზეზებისა და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ გააკეთა საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. ფუფანაშვილმა.**

სხდომის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე საქართველოს პროკურატურის გამომძიებლის კ. კობიაშვილის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის ა. ლაცუზბაიას, იუსტიციის გენერალ-მაიორის ნ. გოგიტიძის ინფორმაციები.

## ᲛᲘᲨᲔᲚ ᲙᲐᲛᲓᲔᲡᲘᲣ ᲐᲦᲒᲕᲘᲗᲥᲕᲐᲛᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲡᲐᲕᲐᲚᲣᲢᲝ ᲤᲝᲜᲓᲘ ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲓᲐᲒᲕᲔᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ მიიღო წერილი საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებლის მიშელ კამდესიუსაგან, რომელიც ახლახან საქართველოში საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა.**

ბატონი კამდესიუ გულწრფელ მადლობას უხდის პრემიერს მასპინძლობისათვის და თვლის, რომ შეხვედრები ბატონ ოთარ ფაცაციასთან, მისი კაბინეტის წევრებთან ძალზე სასარგებლო იყო, რომ იგი გაგებით მოეკიდა პრემიერ-მინისტრის წუხილს ენერგოკრიზისის გამო, რომელსაც გადასცემს მსოფლიო ბანკის პრეზიდენტს ბატონ ვოლფენზონს და რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდი კვლავაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკურ სტაბილიზაციასა და რეკონსტრუქციას.

**„ფონდის აღმასრულებელ გამგეობას მოვახსენე,** — წერს მიშელ კამდესიუ, — **რომ ჩემზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა იმ შესანიშნავმა პროგრესმა, რომელიც უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში მიღწეულ იქნა ინფლაციის შემცირებასა და სტრუქტურული რეფორმების განხორციელებაში".**

იგი მხარს უჭერს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიასა და საქართველოს მთავრობასა და ეროვნულ ბანკს შორის მიღწეულ წინასწარ შეთანხმებას ღონისძიებათა პაკეტზე.

**„ჩვენს თანამშრომლებს დავავალე** — ნათქვამია წერილში, — **დაუკავშირდნენ საერთაშორისო საზოგადოებას, რათა მან მოახდინოს ფინანსური დახმარების მობილიზაცია სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების თქვენი პროგრამის მხარდასაჭერად. ამ სფეროში მიღწეული პროგრესის გათვალისწინებით იმედი გვაქვს, რომ შევიტანთ წინადადებას აღმასრულებელი გამგეობის წინაშე ივნისის ბოლოს ან ივლისის დასაწყისში ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს მიერ ფონდის რესურსების შემდგომი გამოყენების შესახებ და სისტემური ტრანსფორმაციის საშუალებების გამოყენებით".**

## ᲒᲐᲓᲐᲕᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲮᲓᲐ

**საქართველოს საგარეო ვალების რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებით, რაც გათვალისწინებულია რუსეთ-საქართველოს ამასწინათ ხელმოწერილი მთავრობათაშორისო ხელშეკრულებით, 7-8 ივნისს საქართველოს სამთავრობო დელეგაცია ვიცე-პრემიერ თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით იმყოფებოდა მოსკოვში.**

„საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებისთვის ცნობილია, რომ 29 მაისს აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ალექსი ბოლშაკოვმა. მაშინვე საოქმო გადაწყვეტილებით რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროებს დაევალა დაეჩქარებინათ ხელშეკრულების მომზადება იმ ვალების რესტრუქტურიზაციის შესახებ, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ საქართველოს გამოუყო სახელმწიფო კრედიტების სახით.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ ბატონ ალექსი ბოლშაკოვს, ფინანსთა მინისტრს ვლადიმერ პანსკოვს და სხვა ოფიციალურ პირებს. ვალების რესტრუქტურიზაცია სავალუტო ფონდის მიერ სტენდბაის კრედიტის გამოყოფის წინაპირობაა.

მიღწეულია შეთანხმება აღნიშნული ვალების რესტრუქტურიზაციისა სამი წლით მათ გადავადებაზე. ძირითადი ვალების გადახდა 1998 წლიდან დაიწყება. 1998 წლამდე გადახდილი იქნება მომსახურების პროცენტები — 0,5 პროცენტის ოდენობით.

# ᲡᲐᲥᲕᲔᲧᲜᲝ ᲡᲐᲥᲛᲔ

(დასასრული)

ვანელობასთან ერთად, როგორც მოგახსენეთ, ანჯელის მასივში შევხვდი...

როგორც „საქართველოს რესპუბლიკის" მკითხველებს გაზეთის ადრინდელი პუბლიკაციებითაც ეხსომებათ, ჩვენმა რედაქციამ ერთგვარი შეფობა დაუწესა ახალჩამოყალიბებულ სააქციო საზოგადოება „ანჯელს" და პერიოდულად აშუქებს კიდეც მის მუშაობას. თანამშრომლობა სულ უფრო ინტენსიური გახდება, რადგან ეს მართლაც საქვეყნო საქმეა. თუმცა, როგორც შევთანხმდით, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ ჩემს აზრს...

„ანჯელის" მეთვალყურეთა საბჭოს თავმჯდომარე ვაჟა ტყებუჩავა აბაშელია. აქამდე თბილისში მუშაობდა, მაგრამ წლევანდელ გაზაფხულზე აბაშელმა აქციონერებმა თავიანთ თავკაცად აირჩიეს და ისიც ამართლებს ნდობას.

— უხვი მოსავალი, რომლის მიღებისთვისაც არაფერს დავიშურებთ, — მეუბნება იგი, — რა თქმა უნდა, ძალიან კარგი და აუცილებელი რამაა, მაგრამ, მოდით, სხვა კუთხითაც შევხედოთ ანჯელში ჩვენს მიერ გაწეულ მუშაობას. კარგად მოგეხსენებათ, თავის დროზე რაოდენ კოლოსალური შრომა და სახსრები მოახმარა სახელმწიფომ აქაური დაჭაობებული მიწების დაშრობა-გაკულტურება-გამასივებას. უკუგებაც იყო, მაგრამ ცნობილი მოვლენების გამო ამ ბოლო წლებში თითქმის უპატრონოდ მიგდებულ ამ მასივში მანამდე შევიწროებული ტყე და ჯაგნარი კვლავ „ველში გაიმართა" და, მერწმუნეთ, საუკუნის ბოლომდე კვლავ მთლიანად დაფარავდა აქაურობას. რა ფასად მოგვიხდებოდა მაშინ მდგომარეობის გამოსწორება? ან საერთოდ შევძლებდით კი სრულყოფილად ამის გაკეთებას?

აბაშის გამგებლის პირველი მოადგილე, ადგილობრივი მმართველობის გამგეობის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე გიორგი დუნდუაც კვერს უკრავს „ანჯელელთა" თავკაცს და სხვა კუთხით განაგრძობს მის წამოწყებულ საუბარს. — შარშანაც ხომ ძალიან ჭირდა, — ამბობს იგი, — მაგრამ წლევანდელთან შედარებით სოფლის მეურნეობის მუშაკები მაინც, როგორც იტყვიან, ღმერთივით ვიყავით, რადგან გარკვეული ოდენობით მაინც მოგვცეს კრედიტები, წინასწარი ანგარიშსწორების გარეშე მივიღეთ საწვავი და მინერალური სასუქებიც. და, ყოველივე ამის მიუხედავად, შარშან სულ ცოტა ათასი ჰექტარი მაინც დაგვრჩა დაუთესავი. წლეულს კი, როდესაც კრედიტზე კი არა, წინასწარ გადაუხდელად სახელმწიფოსგან რაიმეს მიღებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, „ანჯელი" რომ არა, საოცრად მძიმე მდგომარეობაში ვიქნებოდით.

**— სააქციო საზოგადოების პროგრამით გათვალისწინებული საწესდებო ფონდი მთლიანად თუ შეივსო, ბატონო ვაჟა? — ვეკითხები „ანჯელელთა" თავკაცს.**

— საფირმო საიდუმლოება გინდათ გამომტყუოთ, არა? — ეღიმება მას და — ეტყობა კი აქაურობას რამე უფულობისაო? — კითხვითვე მიპასუხებს. იმას კი გეტყვით, რომ დღემდე ყველა სამუშაო კომერციულ საწყისებზე შესრულდა, ბოლომდეც ყველაფერი კვლავ საკუთარი სახსრებით გაკეთდება, სახელმწიფოს არაფერი დახარჯვია და არც დაეხარჯებაო, დასძენს.

ამასობაში „ანჯელის" საპატიო პრეზიდენტისა და მისი ჩამოყალიბების ინიციატორის, საქართველოს პარლამენტის წევრის თენგიზ კალანდაძის ავტომანქანაც გამოჩნდა.

ბატონ თენგიზს დაღლილობა კი ეტყობა, მაგრამ მაინც ხალისიანად და მხნედ გამოიყურება. შესაშური თვისება აქვს — ისე უბრალოდ, თითქოსდა სასხვათაშორისოდ და აუღელვებლად ლაპარაკობს გაწეულ საქმიანობასა და გაკეთებულზეც, ვითომ უამრავი ობიექტური სიძნელე თუ ბევრგან ხელოვნურად შექმნილი ბიუროკრატიული ბარიერი არც ჰქონდეს გადალახული და გადასალახავიც. საკუთარ შესაძლებლობებსა და მოქმედების სისწორეში დარწმუნებულ ადამიანებს სჩვევიათ ეს.

**— ისეთ კარგ გუნებაზე ჩანხართ, ბატონო თენგიზ, გეტყობათ „ანჯელისთვის" კარგი ამბებით ჩამოხვედით დედაქალაქიდან...**

— ყოველ შემთხვევაში სავიშვიშო არაფერი გვაქვს. საქმე წინ მიდის და უკეთაც წავა.

**— მაინც როგორ მოსავალს მოელით წლეულს ანჯელის მასივისაგან?**

— დაახლოებით ათი ათას ტონა სიმინდის მარცვალსა და 400 ტონა სოიოს, რომლის შესყიდვაზეც, ალბათ, სახელმწიფოს დავუდებთ ხელშეკრულებას.

**— ეს წლეულს, — „ანჯელის" მუშაობის პირველ ეტაპზე, მაგრამ უახლოესი მომავლისთვისაც ხომ არ გაქვთ გაანგარიშებები?**

— 2000 წლამდე პერიოდისთვის გაანგარიშებებიც გვაქვს გაკეთებული და სხვა პროგრამებიც — შემუშავებული, რომლებსაც ქვეყნის ხელმძღვანელობას მალე შევუთანხმებთ. რაც შეეხება ამავე პერიოდისთვის მოსავლიანობის გადიდებას, უწინარესად უნდა აღვნიშნოთ, რომ მიწის პრივატიზაციის დაწყებამდე რაიონში დაახლოებით 11 ათასი ჰექტარი სახნავი ფართობი იყო. აქედან სიმინდი 6 ათას ჰექტარზე ეთესათ და ყველაზე უხვი მოსავალი 80-იან წლებში მიიღეს — 20900 ტონა, ანუ ჰექტარზე საშუალოდ 35 ცენტნერი მარცვალი. ჩვენ კი იგივე ფართობებზე 2000 წლისთვის წელიწადში 60 ათას ტონამდე მარცვლის მოყვანას ვაპირებთ.

**—როგორც იტყვიან, ღმერთმაც ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყოს, დიდ ქარავანს დიდი ქიშკარიც სჭირდება: ასეთი უხვი მოსავლის მომლოდინენი გადამამუშავებელი მრეწველობის სიმძლავრეთა გაზრდაზეც უთუოდ ფიქრობდით. მხედველობაში მაქვს აბაშის პურის მიმღები საწარმო.**

—ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ამ საწარმოს წლიური სიმძლავრე 50 ათასი ტონაა. იგი უთუოდ უნდა გახდეს რაიონის საკუთრება პაკეტის ასპროცენტიანი ფლობის უფლებით. ეს უნდა მოხდეს რაიონის მოსახლეობისთვის დასარიგებელი ვაუჩერების მეშვეობით. რაიონის ხელმძღვანელობასთან ერთად ვაპირებთ ამ საწარმოსთვის წისქვილქარხნის შეძენასაც, რითაც ტექნოლოგიური ციკლი შეიკვრება და სრულფასოვან კომბინირებულ საკვებზე ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებაც მთლიანად დაკმაყოფილდება. თუ ეს საწარმო რაიონს გადმოეცა, ჩვენი გაანგარიშებით აქ ხორცის წარმოება 80-იანი წლების 3 ათასიდან 15 ათას ტონამდე, რძისა კი — 5 ათასიდან 20 ათას ტონამდე გაიზრდება, რა თქმა უნდა, ამ დიდი პროგრამის შესრულებაში ხელისუფლებამაც უნდა მიიღოს მონაწილეობა, გათვალისწინებულია ინვესტორთა მოზიდვაც...

ბატონმა თენგიზმა ანაზდად საათზე დაიხედა, — თუ გცალიათ და ჩემთან ერთად სოფელ მარანში წამოხვალთ, ერთ კარგ ახალგაზრდა კაცსაც გაგაცნობთ და საგაზეთოდაც საინტერესო მონაცემებსაც ჩაიწერთო, შემომთავაზა. დავთანხმდი.

სოფელ მარანში ბატონმა თენგიზმა მწვანედ ახასხასებული ფართობისკენ გამახედა. — ეს „ანჯელის" ხახვის ნათესებია, — მეუბნება, — მალე მოსავალს ავიღებთ და სხვა კულტურისთვის გამოვიყენებთ ამ ფართობს, რათა მომავალ წლამდე არ გაცდეს. ეს მიტოვებული ფერმის შენობაც, ახლა რომ არემონტებენ, „ანჯელისავე" ერთ-ერთი მეცხოველეობის წვრილფერმერული მეურნეობისაა. აქ დასაბინავებელი პირუტყვისთვის საკვები უკვე დათესილია, ყველა სათანადო ხელშეკრულება გაფორმებულია. საშემოდგომოდ პირუტყვსაც შემოვიყვანთ („ანჯელის" საქმიანობის ამ მიმართულებებზე ცალკე მოგითხრობთ — რ. რ.) და რაიონის მეცხოველეობის აღორძინებაშიც პირველ პრაქტიკულ წვლილს შევიტანთ. მოვედით, სწორედ ამ ფერმის გვერდითაა ჩვენი საცდელი ნაკვეთი და ის ახალგაზრდა კაციც, რომ უნდა გაგეცნოთ.

იგი გოგი ნიკოლაიშვილი აღმოჩნდა, ედუარდ შევარდნაძის ფონდის — „დემოკრატია და აღორძინება" — სასოფლო-სამეურნეო წარმოების სექტორის გამგე, მიწაზე შეყვარებული კაცი, რომელსაც აგერ უკვე 4 წელიწადია, თავის ექვს მეგობართან ერთად, ბოლნისის რაიონში 467 ჰექტარი მიწის ნაკვეთი ჰქონდა აღებული და ამუშავებენ.

— ახლახან დავბრუნდი აშშ-ს აიოვას შტატიდან, სადაც ჩვენმა ფონდმა, წინასწარი მოლაპარაკების შესაბამისად, ამერიკელთა მიწვევით მიმავლინა. დელეგაციის წევრები საფუძვლიანად გავეცანით იქაურ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას. ეს შტატი თავისი კლიმატური თუ ნიადაგობრივი მონაცემებით ძალიან ჰგავს საქართველოს და, ამდენად, იქაური გამოცდილების შესწავლა-გამოყენება ერთობ გამოგვადგება. აი, ამ ფართობზე, ახლა რომ ამუშავებენ, აიოვას შტატის ორი ფირმიდან — „პიონერიდან" და „სტაინიდან" ჩვენს მიერ ჩამოტანილი 30 სახეობის სიმინდის ჰიბრიდის და 4 სახეობის სოიოს თესლი უნდა დავთესოთ. ანჯელის მასივის 50 ჰექტარზე უკვე დათესილია 4 სახეობის სიმინდის ჰიბრიდი. მარნის საცდელი ფართობის 1500 კვადრატულ მეტრზე კი რიგების მიხედვით დაითესება 24 სახეობის სიმინდის ჰიბრიდი, ხოლო 2,5 ჰექტარზე — 4 სახეობის სოიო. მათგან, რომელიც უკეთ დარაიონდება და შეეგუება აქაურ პირობებს, მომავალ წელს სწორედ იმ სახეობის ჰიბრიდის თესლს შემოვიტანთ ამ შტატიდან, ეს კი უთუოდ საგრძნობლად გაზრდის მოსავლიანობას. ახლო მომავლისთვის განზრახული გვაქვს საცდელი სადგურის შექმნა, რომელიც მარტო საქართველოს კი არა, მთელ ამიერკავკასიასაც მოემსახურება და რესპუბლიკას კარგ შემოსავალს მისცემს...

უკვე ბინდდებოდა, რაიონულ ცენტრისაკენ რომ წამოვედით.

— „ანჯელი" თანდათანობით სულ უფრო მყარად დგება ფეხზე, — მეუბნება ბატონი თენგიზი, — რაც მისი თითოეული წევრის, რაიონისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის მუშაობის შედეგიც არის. დიდად გვეხმარება პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" წევრებისა და სხვა პარლამენტართა თანადგომა, გულისხმიერი დამოკიდებულება. დიდი მადლობელი ვარ საერთოდ მინისტრთა კაბინეტის და მისი ყველა იმ წევრისა, რომლებიც გაგებით მოეკიდნენ აბაშელთა წამოწყებას, მხარში ამოუდგნენ მას, რისი დამადასტურებელი კონკრეტული სამთავრობო დადგენილება, ალბათ მალე გამოვა. ეს ძალიან გვეხმარება მუშაობაში.

მახარებს, რომ „ანჯელის" საქმიანობაში ახალგაზრდობაც ჩაება და საერთოდ, ხალხი დასაქმდა. მათი ნაყოფიერი გარჯის წყალობით თვით აქციონერებიც მოიგებენ და რაიონის სხვა დარგებსაც, სოციალურ სფეროსაც, ჯანდაცვასაც განათლებასაც, კულტურასაც საგრძნობლად შევეხიდებით.

ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ სამეგრელოსა და გურიას გარდა „ანჯელს" საქართველოს სხვა რეგიონებშიც აღმოუჩნდნენ მიმდევრები და უკვე სერიოზულ მოსამზადებელ თუ პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწევიან. მოვლენების განვითარებას არ გავუსწრებ და ჯერჯერობით არ დავასახელებ მათ. ამას კი ვიტყვით, რომ სააქციო საზოგადოება „ანჯელი" აპირებს თბილისში ბიზნესცენტრის გახსნას, რომელიც იზრუნებს საქართველოს მასშტაბით ამ სიახლის დანერგვისა და შემდგომში მუშაობის კოორდინირებისათვის...

**— მოკლედ, „ანჯელის" მომავალს იმედიანად უყურებთ, არა?**

— რა თქმა უნდა. ყველაფერს ვაკეთებთ და გავაკეთებთ კიდეც მისი წარმატებისთვის, მაგრამ თუ ამინდმა არ გაგვიმართლა, მთელი ჩვენი შრომა წყალში ჩაიყრება. თავადაც შეამჩნევდით, ეს დღეებია აბაშელები კარგი ასტრონომებივით ერთავად სულ ცას შესცქერიან — საწვიმრად ემზადება თუ არაო...

• • •

**ᲠᲝᲒᲝᲠᲪ** იქნა, აუხდათ ნატვრა აბაშელებს, და არა მარტო მათ — საქართველოს ყველა სხვა რეგიონის მშრომელებსაც. „ყელი გაისველა" მიწამ, გალაღდა ნათესი, გამხნევდა მეურნეც. ამ ბოლო წლებისთვის უნახავი ბარაქიანი შემოდგომის დადგომა ვუსურვოთ მათ!

ხოლო რაც შეეხება ამ წერილის სათაურს, ვფიქრობ, უკვე არც არის საჭირო იმის თქმა, თუ რატომაა „ანჯელის" გამარჯვება აუცილებელი და საქვეყნო საქმე. თუმც ძალიან მოკლედ მაინც ვიტყვი: დადებითი მაგალითის ზემოქმედების ძალა უზომოა. სწორედ ასეთი მაგალითის — ამ შემთხვევაში „ანჯელის" — წარმატება სჭირდება დღეს საქართველოს, რათა ამდენი ქაოსით, ნგრევით, ფორმაციათა მკვეთრი ცვლილებით, „შოკური თერაპიით" (უფრო სწორად, უთერაპიო შოკით) და სხვა მრავალი გასაჭირით უზომოდ შეჭირვებულმა გლეხკაცმა ირწმუნოს, რომ დღევანდელ პირობებშიც შეიძლება ახლებური შრომა, შეიძლება მარჩენალი მიწის მთლიანად დამუშავება, უხვი მოსავლის მიღება, საკუთარი ბედის ავსება და ქვეყნის ბიუჯეტის შევსებაც.

ამიტომაც არის „ანჯელის" გამარჯვება აუცილებელი და საქვეყნო საქმე!

**ᲠᲣᲡᲚᲐᲜ ᲠᲣᲡᲘᲐ**
„საქ. რესპ.". სპეც. კორ.

• • •

**ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:** პარლამენტართა კავშირ „თანადგომის" წევრებს „ანჯელის" ხახვის ნათესებში; მექანიზატორი მურთაზ ხოშტარია ანჯელის მასივში მუშაობისას.
**ᲘᲝᲡᲔᲑ ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ფოტო.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ
## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ
### ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲞᲝᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐ

**ბოლო** პერიოდში გაწეული მუშაობის შედეგად გარ წარმატებებია მიღწეული რესპუბლიკაში ფულის მიმ მდგომარეობის გაუმჯობესების, განსაკუთრებით კი კუპონ სის სტაბილიზაციის საქმეში. მიუხედავად ამისა, ვერ მო კუპონის სრულფასოვან საგადამხდელო საშუალებად დამ რება, რაც ხელს უშლის მიმოქცევის შემდგომი სრულყო ქმეს.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე ნაღდო ანგარიშსწორებ რომ კუპონის ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად გ დებისათვის „ეკონომიკური სტაბილიზაციის დამატებით ძიებათა შესახებ" საქართველოს სახელმწიფოს მეთაური წლის 24 აპრილის 134 ბრძანებულებით დასახული ღონ ბის განხორციელებისა და ნაღდი ანგარიშსწორების სფერ პონის სავალდებულო საშუალებად დამკვიდრების მიზნ

1. საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე საქ სა და მომსახურებაზე ფასების გამოცხადება 1995 წლის 1 ლისიდან სავალდებულო წესით მოხდეს ეროვნული ბან პონებით.

2. ყველა იურიდიული და ფიზიკური პირი, რომელიც სა ლისა და მომსახურების რეალიზაციას აწარმოებს ნაღდი ა სწორებით, ვალდებულია გამოცხადებული ფასების მიხედ ქონლისა და მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლ ქალაქეებისაგან შეუფერხებლად მიიღოს ეროვნული ბან პონები.

3. დაევალოთ სამართალდამცავ და მაკონტროლებელ ორ ებს უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანებულების მოთხ დაცვა.

4. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში.

ე. შევარ

1995 წლის 11 ივნისი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ
## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ
### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝ ᲞᲐᲚᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**იმის** გათვალისწინებით, რომ ამჟამად საქართველოს რ ლიკაში არ არსებობს სავაჭრო-სამრეწველო პალატების სა ბის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი, მათი სამართლ მდგომარეობისა და მოქმედების ძირითადი მიმართულებებ საზღვრის, აგრეთვე მეწარმეობის განვითარების, საბაზრ ნომიკის ფორმირების და საქართველოს მეწარმეთა უცხოე ტნიორებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების ფების მიზნით:

1. დამტკიცდეს დებულება სავაჭრო-სამრეწველო პალატე სახებ.

2. დადგინდეს, რომ საქართველოს რესპუბლიკაში სავაჭ რეწველო პალატები წარმოადგენენ დამოუკიდებელ, არა მწიფო, საჯარო კორპორაციებს, რომლებიც აერთიანებენ თველოს მეწარმეებს, გამოდიან რა მათი საერთო ინტე წარმომადგენლებად სახელმწიფო და სხვა ორგანოების როგორც რესპუბლიკაში ან რეგიონში, ისე საზღვარგარე

3. საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პ წარმართოს თავისი საქმიანობა დებულების საფუძველზ

4. საქართველოს რესპუბლიკის სავაჭრო-სამრეწველო პა თან, მეწარმეთა შორის წარმოქმნილი დავის მოწესრიგებ ნით, შეიქმნას მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო სასამართლ მელიც თავის საქმიანობას განახორციელებს მოქმედი კან ლობის შესაბამისად შემუშავებული და სავაჭრო-სამრეწველ ლატის მიერ დამტკიცებული რეგლამენტის თანახმად.

5. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და ლობრივმა მმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ სა სამრეწველო პალატებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების ლებაში, მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექ

ე. შევარ

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ
## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ
### ᲣᲘᲛᲔᲓᲝ ᲓᲔᲑᲘᲢᲝᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲕᲐᲚᲘᲐᲜᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲩᲐᲗᲕᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲔᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**ეროვნული** მეურნეობის ენერგეტიკის სექტორში დიდ ნობით მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების დელობის შედეგად შექმნილი მძიმე საანგარიშსწორებო რეობის ნაწილობრივი შემსუბუქების, წარმოების ამოქმედებ მულირებისა და ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამ რე:

1. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ვალების რესტრ რიზაციის გათვალისწინებით საქართველოს რესპუბლიკის ზის" დეპარტამენტის დებიტორული დავალიანება ბუნებრ ზის მიწოდებაზე 1995 წლის 1 მაისის მდგომარეობით „სა გოს" დეპარტამენტსა და რესპუბლიკის მოსახლეობის მიმარ ბულ იქნეს სახელმწიფოს შიდა ვალში და მისი გადახდა ს ველოს რესპუბლიკის რესპუბლიკურ ბიუჯეტში გადავა იქნეს 1997 წლის 1 მაისამდე.

2. საქართველოს რესპუბლიკის „საქენერგოს" დეპარტ (დეპარტამენტ „საქგაზის" კრედიტორული დავალიანების ლებში) დებიტორული დავალიანება მოსახლეობის ჩათვლი წლის 1 მაისის მდგომარეობით აღებულ იქნეს სახელმწიფო ვალში და მისი გადახდა საქართველოს რესპუბლიკის რეს კურ ბიუჯეტში გადავადებულ იქნეს 1997 წლის 1 მაისამდე.

დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტებ გაზსა" და „საქენერგოს" ამ ბრძანებულებით განვადებული ბულებანი ჩარიცხონ საქართველოს რესპუბლიკის რესპუბ ბიუჯეტის შემოსავლებში 1997 წლის 1 მაისიდან ექვს განმავლობაში თანაბარი ოდენობით ყოველი თვის 15 რი

3. საქართველოს რესპუბლიკის დეპარტამენტების „საქ (რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული სესხების ჩათვლი „საქენერგოს" საბიუჯეტო ვალდებულებანი სახელმწიფოს ვალში აღებული თანხების ფარგლებში 1995 წლის 1 მაისის მარეობით გადავადებულ იქნეს 1997 წლის 1 მაისამდე დაფარვა განხორციელდეს დღეისათვის დამტკიცებული წიფო შემოსავლებიდან ანარიცხების ეკონომიკური ნორ ბის შესაბამისად თანაბარი ოდენობით 6 თვის განმავლობა ველი თვის 15 რიცხვში.

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და მიკის სამინისტროებს ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ დადება იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა საფინანსო მდგ ობის მოწესრიგების თაობაზე, რომელთა პროდუქცია გად თულია თურქმენეთიდან მოწოდებული გაზის სანაცვლოდ.

5. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ ენერგოს" დეპარტამენტთან ერთად განიხილოს და გადაწყ მოსახლეობისათვის მიწოდებულ ელექტროენერგიაზე ახალ რიფების დაწესება.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კა მიმდინარე წლის 15 ივნისამდე უზრუნველყოს აღნიშნული ნებულების შესასრულებლად სათანადო ნორმატიული დ ტების დამტკიცება.

ე. შევარდნ

1995 წლის 13 ივნისი.

## ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘᲡ
## ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ
### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲝᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

**სამშობლოს** დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გ ნილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რ კის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები ლდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდ

ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით
ტრისტან წითელაშვილი — პოლკოვნიკი;
დავით ფადიანი — მაიორი.
მედლით „მხედრული მამაცობისათვის":
ივანე მერებაშვილი — კაპიტანი.

ე. შევარ

1995 წლის 4 მაისი.

## ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲤᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

# ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ

**დაბა წყნეთში ლტოლვილთა პირველი ნაკადის ჩასახლების დღიდან, 1994 წლის ოქტომბერ-დეკემბრიდან, საქართველოს რესპუბლიკის მეთაურის აპარატის თანამშრომლებმა, სახელმწიფოს მეთაურის მრჩეველმა აფხაზეთის საქმეებში ბატონმა ლონდერ ცაავამ ლტოლვილებზე ხელმძღვანელობა და ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაცია ითავა. მას შემდეგ დაბა წყნეთის აგარაკების სამმართველოში ლტოლვილთა კომიტეტისა და ლტოლვილებთან შეხვედრაზე ხშირად ამოდიოდნენ ბატონები ვაჟა ლორთქიფანიძე, ლონდერ ცაავა, მელორ ტუღუშილაშვილი, ვალერი ვაშაკიძე, ვაჟა ჯანჯღავა, ანზორ ბურჯანაძე, ომარ ეღნატე, ნუგზარ ნავაძე, კიმი ჯაჭვლიანი, რომელთა თანადგომით და ხელმძღვანელობით მოგვარდა ლტოლვილებისათვის აუცილებელი საჭირბოროტო საკითხები.**

მკაცრი ზამთრის პირობებში ლტოლვილებს საქართველოს სატყეო დეპარტამენტის (უფროსი დ. გიგაური) თანადგომით უსასყიდლოდ მოეცათ შეშა. საქართველოს სატრანსპორტო დეპარტამენტის (გენერალური დირექტორი ნ. ნავაძე) მონდომებით მოგვარებულია თბილის-წყნეთის სატრანსპორტო მიმოსვლა. მრავალი ორგანიზაცია ზრუნავს იმისთვის, რომ ლტოლვილებს შეუქმნან კარგი საყოფაცხოვრებო პირობები.

შედარებით დიდია ჰუმანიტარული დახმარების ნუსხა, მაგრამ არის ისეთი ფაქტები, როცა არ ხდება ტვირთის გეგმაზომიერი გადანაწილება. მსგავსი შემთხვევა იყო წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ორგანიზაციის მუშაობაში. 1994 წლის ნოემბერ-დეკემბერში, როცა სიით 5213 სული ირიცხებოდა, ამ ორგანიზაციამ 40 კილოგრამი ტვირთი ამოიტანა ერთ სულზე — 3000 ლტოლვილზე, დანარჩენი 2213 სული პროდუქტების გარეშე დარჩა, რამაც უდიდესი უკმაყოფილება გამოიწვია ამ გაუბედურებულ ადამიანებში.

გვინდა აღვნიშნოთ დ. წყნეთის სამთავრობო აგარაკების სამმართველოს (უფროსი რ. ჩხაიძე) კოლექტივის მონდომება და გულისხმიერება, რასაც ისინი ლტოლვილთა მიმართ იჩენენ, დიდი ენერგია და შრომა ჩადეს ლტოლვილების მოვლა-პატრონობის საქმეში დ. წყნეთის გამგეობის თავმჯდომარემ არჩილ მამუკელაშვილმა და მისმა მოადგილემ სოსო ელიზბარაშვილმა თავიანთ კოლექტივებთან ერთად. ლტოლვილები კეთილად მოიხსენიებენ პარლამენტის წევრს ქ-ნ ლია ცინდელიანს, რომელიც დიდი გულისხმიერებით ეკიდება ყოველი ლტოლვილის გასაჭირს.

მიუხედავად გადატანილი დიდი სულიერი და ფიზიკური განცდებისა, სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ყურადღებამ და მზრუნველობამ იმედიანად განაწყო ლტოლვილთა უდიდესი ნაწილი. გვაქვს რწმენა, რომ სულ ახლო მომავალში ეს განაწამები და გატანჯული ხალხი დაუბრუნდება მშობლიურ კერას და აღდგება საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა.

**Დ. ᲑᲐᲑᲘᲡᲝᲜᲘᲐ,**
დაბ. წყნეთის ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე.

# ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲘᲡ ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ,

## ᲐᲜᲣ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲥᲐᲠᲔᲑᲘ ᲥᲠᲘᲐᲜ...

**ახლახან საღამოს, 21 საათზე გამოვედი ტელევიზიო პროგრამით „პირისპირ", ცამეტ აპრილს კი გაზეთ „დრონში" ამ გამოსვლასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა ბატონ ნიკო ორველაშვილის წერილი სათაურით — „რატომ არა აქვს კუპონს ოქროს განსაზღვრული შემცველობა?" — „ხენი წილიმე, რატო ფოთლები არ გახხია?!".**

პატივცემული ორველაშვილი წერილის დასაწყისში აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, ელექტროენერგიის „ცელქობამ" საშუალება არ მომცა გადაცემა სრულად მენახა და ამდენად ვერ განვსჯი თუ რაზე იმასლაათეს პატივცემულმა პარლამენტარებმა, თუმცა „თელასმა" იმდენი პატივი მაინც დამდო რომ ის ეპიზოდი, რომელშიაც ბატონი გურამი კუპონის თაობაზე თავის აზრს ამცნობდა ტელემაყურებელთა არცთუ მცირერიცხოვან აუდიტორიას თავიდან ბოლომდე მომესმინა".

ბატონი ნიკო ამაზე აგებს მთელ თავის „რეპლიკას", როგორც ის უწოდებს. მე მგონია ბატონ ნიკოს ტელევიზორი ექნებოდა გაფუჭებული და შეიძლება ჩვენი ლაპარაკი კარგად ვერ მოისმინა, სწორედ ამის გამო იგი იმას მომაწერს, რაც იმგვარად არ თქვამს, როგორც მას გაუგია. რას ვიზამთ, უარესიც ხდება.

რამდენადაც ბატონი ნიკო მიდრეკილებას იჩენს ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის საკითხებისადმი, ამდენად თავს უფლებას მივცემ განვუმარტო მას, რომ ფული კრისტალიზებული ეკონომიკაა, საქონელთა საქონელია, საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტია, იგი ღირებულებაა, აქედან ფული თვითონ არის ღირებულება, სხვანაირად მას არ შეუძლია შეასრულოს მიმოქცევის საშუალების, გადახდის საშუალების, დაგროვების საშუალების, ღირებულების საზომის და მსოფლიო ფულის ფუნქციები. ფული, რომელსაც ღირებულება არ გააჩნია, ღირებულების საზომად არ გამოდგება. თუ რა განსაზღვრავს ფულის, როგორც საქონელთა საყოველთაო ეკვივალენტის არსს და მნიშვნელობას, ეს ყველაზე დაბალი დონის ეკონომისტებმაც უნდა იცოდნენ.

რაც შეეხება ბატონ ორველაშვილის წერილის დანარჩენ ნაწილს, ეს უკვე ეკონომიკას აღარ ეხება, ჯობდა ასეთი რამეები არ იწერებოდეს, მაგრამ რაკი დაიწერა, მე მინდა შევახსენო მის ავტორს, ბატონ ნიკო ორველაშვილს, რომ „რაც კოკაში დგას, ის მის გარეთა გადმოდინდება". ერთ რამეში კი უნდა დავეთანხმო მას, რომ დღეს „ამგვარ გაჭირვებულთა" უმრავლესობა, რომლებთანაც არა თუ პოლემიკას, არამედ ნეიტრალურ საუბარსაც კი ითაკილებს ნორმალურ პირობებში ნორმალური კაცი, „თავს უფლებას აძლევენ იმასწავლებლონ იმაში, რაც არასოდეს არ უსწავლიათ".

ეს ყველაფერი სასაცილოა, სამარცხვინო რომ არ იყოს, ამას წინათ ერთმა უცხოელმა მოხუცმა მითხრა — ქართველებს ყველაფერი გშურთ ერთმანეთის ჭკუის გარდაო, ნუთუ მართალია ეს?

პატივისცემით
**ᲒᲣᲠᲐᲛ ᲣᲡᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,**
საქართველოს პარლამენტის წევრი

**P. S.** ნებისმიერ სხვა შემთხვევაში თავს უფლებას არ მივცემ ვეკამათო ისეთ ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, რაზე იკამათონ და როგორ. ვფიქრობ ესეც ზედმეტი იყო.

### ჩემი თანამედროვე

# გაელვება, გაქრობა და გამოჩენა

# მიხეილ კობახიძისა

[illegible] შადრევანთან შეუყოვნდა, წყალი მოსვა და, თავი რომ აილო, მერეღა შემამჩნია.

მისალმება... მოკითხვა...

წლებს, (მერედა, რა წლებს!) ცხადია, შეუცვლია მიხეილ კობახიძე, თუმცა, ძველებური სიკოხტავე და ელეგანტურობა მაინც არ აკლია. საუბრისას სათვალეს იხსნის და თვალები სევდანარევი ღიმილით ევსება.

ოცდახუთი წელიწადია, რაც უნიჭიერესი ქართველი კინორეჟისორის შესახებ თითქმის არაფერი იცის ქართველმა საზოგადოებრიობამ. ის უფროა ცნობილი (მეტადრე — შემოქმედებითი ინტელიგენციისთვის) თუ რა მიზეზით განუდგა თავის საყვარელ საქმიანობას მიხეილ კობახიძე.

ამ ხნის განმავლობაში, არ დავმალავ, ერთ-ორჯერ დავურეკე, მოვიკითხე, თან შევპარე — ხომ არ გვესაუბრა-მეთქი (ცხადია, პრესისთვის). ვერ დავიყოლიე — თავის დროც დადგებაო — მაიმედებდა.

ჰოდა, აგერ, თითქოს ღმერთმა გამომიგზავნაო, ზედ რედაქციის წინ..

ამჯერად (ჩემდა გასაკვირად) ადვილად დავითანხმე ინტერვიუზე — მართლაც არის რაღაც-რაღაცეები საყურადღებოო, და, მეორე დღეს, ზუსტად გამოცხადდა რედაქციაში.

დარწმუნებული ვარ, საუბარი მიხეილ კობახიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ბევრს დააინტერესებს, მეტადრე კი ახალ თაობას, რომელმაც, რა დასამალია, და, ბევრი არაფერი იცის ხელოვნებაზე, რომელმაც სამოციანი წლების დასაწყისში ნიჭის ელვარებით გააოცა მსოფლიოს კინოსამყარო, მერე, მიზეზთა და მიზეზთა გამო, გაქრა, განმარტოვდა, ახლა კი გამოჩნდა და მთელი გატაცებით მუშაობს ახალ ფილმზე.

მაშ, გაელვება, გაქრობა და გამოჩენა მიხეილ კობახიძისა.

## გაელვება

1966 წლის გაზაფხულის პირი იდგა. ერთ დღეს საქართველოს ტელერადიოკომიტეტში სასიამოვნო აჟიოტაჟი ატყდა — დასავლეთ გერმანიიდან ცნობა მოსულიყო — ქართულმა მოკლემეტრაჟიანმა მხატვრულმა ფილმმა „ქორწილმა“ ქალაქ ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალზე 30 ქვეყნის 80 ფილმს შორის ერთდროულად რამდენიმე მთავარი პრიზი მოიპოვაო.

მე მოწმე ვარ იმ სიხარულისა (მაშინ შტატგარეშედ ვმუშაობდი რადიო-ტელევიზიაში), თვალად მინახავს ტელევიზიის ხელმძღვანელის ბატონ აკაკი ძიძიგურის კაბინეტში თითო-თითოდ, ჯგუფ-ჯგუფად რომ შედიოდნენ თანამშრომლები, ესოდენ დიდი წარმატების მისალოცად.

**მოვუსმინოთ მიხეილ კობახიძეს:**

— „ქორწილი“ ჩემი სადიპლომო ნამუშევარი იყო. მოსკოვში ვსწავლობდი — კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტში სერგეი გერასიმოვის სახელოსნოში... დიდი ამაგი აქვს ჩემზე ამ შესანიშნავ პიროვნებას... ახევე, რა დამავიწყებს ბატონ აკაკი ძიძიგურის ამაგს.

როდესაც კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ჩემი ერთადერთი თითქმის დამთავრებული ნამუშევარი გაანადგურეს, აკაკი ძიძიგურს შევთავაზე „ქორწილის“ გადაღება ტელესტუდიის ბაზაზე. იგი დამთანხმდა და არაფერს იშურებდა... ნუ გეშინიათ — მამხნევებდა ბატონი კაკო... გასაკვირი ის არის, რომ „ქორწილს“ შემდეგ მშვენივრად „დაეპატრონა“ კინოსტუდია „ქართული ფილმი“ და მოსკოვს ადრე განადგურებული ფილმის მაგივრად ჩააბარა იგი.

**გვესაუბრება აკაკი ძიძიგური:**

— მაშინ დიდად განებივრებული არ ვიყავით ჯილდოებით და, უცებ, ასეთი აღიარება!... „ქორწილმა“ ობერჰაუზენში მიიღო მთავარი პრემია, და აგრეთვე კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციისა და ევანგელიკური კინოცენტრის პრიზები, ასევე კანის საერთაშორისო კინოფესტივალზეც მოკლემეტრაჟიანი ფილმების განხრით „ქორწილმა“ „გრან პრი“ დაიმსახურა.

საერთოდ, თუ არ ვცდები, ამ სიკეთით, პოეზიითა და ცოცხალი იუმორით აღსავსე კინონოველას ოცზე მეტი სხვადასხვა სახის პრიზი აქვს მიღებული საერთაშორისო კინოფესტივალებზე... მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის წარმატებამ დიდად განაპირობა შემდეგ საერთოდ ქართული კინემატოგრაფიის ფართო აღიარება. მახსოვს, „იზვესტიაში“ სერგეი გერასიმოვის ვრცელი წერილიც დაიბეჭდა სათაურით: „ქართული ფილმი“ აღმავლობის გზაზეა“...

* * *

იმ ხანებში, სერგეი გერასიმოვმა „იზვესტიაში“ კიდევ ერთი წერილი დაბეჭდა ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებზე და, მიხეილ კობახიძე, კერძოდ, ასე შეაქო: „ახლახან მივიღეთ ცნობა ჩვენი დიპლომანტის მიხეილ კობახიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმის „ქორწილის“ წარმატების შესახებ ობერჰაუზენის საერთაშორისო კინოფესტივალზე. ჩვენთანაც, იმთავითვე, ეს სურათი მიჩნეულ იქნა მნიშვნელოვან გამარჯვებად დამწყები რეჟისორისა, რომელსაც უხვად აქვს მომადლებული იუმორი, თვალის სიმახვილე, კომედიური ხერხების თავისუფლად გამოყენების უნარი“.

აღსანიშნავია, რომ „ქორწილმა“ ობერჰაუზენში 10.000 გერმანული მარკა მიიღო ჯილდოდ, მაგრამ მოსკოვმა არ მისცა კუთვნილი თანხა ფილმის ავტორს. დაიბარეს კობახიძე საკავშირო ფინანსთა სამინისტროში და უთხრეს — ეს ფული სახელმწიფოს ეკუთვნის, ოღონდ უწყისზე ხელი შენ უნდა მოგვიწეროო — თუ სახელმწიფოს ეკუთვნის, მაშინ სახელმწიფომ მოაწეროს ხელიო — არ დაიბნა მიშა და „დიდ საბჭოეთს“ შეაწია 10000 მარკა, თბილისში დაბრუნებულს კი სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის რომანოვის ბრძანებამ ჩამოასწრო: „აღვნიშნავ რა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ ნაწარმოების კინოფილმ „ქორწილის“ მაღალიდეურ დონეს, რომელიც აღიარა საბჭოთა მაყურებელმა და უცხოეთმა, ვბრძანებ:

კომიტეტის თავმჯდომარის ფონდიდან, რომელიც დაარსებულია კინოფილმების გაქირავებით შემოსული თანხებიდან, ფილმ „ქორწილის“ დამდგმელი რეჟისორი მ. გ. კობახიძე პრემირებულ იქნეს 200 მანეთის ოდენობით“.

ამას ჰქვია: ყვავს კაკალი გავაგდებინეო...

1966 წელს მ. კობახიძე მუშაობს ფილმზე „ქოლგა“, რომელიც გადაღების პროცესში დახურეს. აქ კვლავ გამოჩნდა „კეთილი კაკო“, და მისი წყალობით რეჟისორმა შეძლო ფილმის დამთავრება.

**მოვუსმინოთ მიხეილ კობახიძეს:**

— ეს ის დროა, როდესაც უკვე იწყება „მოჭერა“, ძლიერდება ცენზურა. მოსკოვიდან ჩამოვიდა კინოკომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსი და, როდესაც „ქოლგა“ ანახეს, პირდაპირ განაცხადა: წმინდა წყლის ფორმალიზმია და სჯობს, მოსკოვში სულ არ ჩამოიტანოთო. მაგრამ, მე მაინც ჩემი ვეცადე — გერასიმოვს ვთხოვე დახმარება. მართლაც, გასჭრა მისმა ავტორიტეტმა — კინოკომიტეტში სულ კრიჭაშეკრულებმა მიიღეს ფილმი, რომელმაც შემდეგ კრაკოვის საერთაშორისო ფესტივალზე დაიმსახურა მთავარი პრიზი, კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ფედერაციის პრიზი საუკეთესო ფილმისათვის და მრავალი სხვა.

* * *

ფრანგი ხელოვნებათმცოდნე ქრისტოფერ ლერძე წერს: „ქორწილი“, „ქოლგა“ და „მუსიკოსები“ — ეს ის ფილმებია, რომლებიც თავიანთი სიურეალისტური პოეზიით დაკავშირებული არიან მოლიერის სამყაროსთან, ხოლო პირველწყარო ძმები ლუმიერებია“.

აქ ნახსენები ფილმი „მუსიკოსები“ ერთ-ერთი ნოველაა 4 ნოველისაგან შემდგარი სრულმეტრაჟიანი ფილმისა „ჰოპლა“, რომლის გადაღებასაც „ქოლგის“ შემდეგ შეუდგა მიხეილ კობახიძე. შეუდგა, მაგრამ უმალ ისევ — საკონფლიქტო სიტუაცია მოსკოვთან. საქმე ის არის, რომ ნოველა „მუსიკოსებს“ „ომი და მშვიდობა“ ერქვა. ამ სახელწოდებით გადაღების უფლება კი, რატომღაც, არ მისცეს ქართველ რეჟისორს...

ის იყო მიხეილ კობახიძე მეორე ნოველის — „დირიჟორის“ გადაღებას შეუდგა და მოსკოვიდან რომანოვის ბრძანებაც მოვიდა. აი, რას ბრძანებდა ამჯერად იგი:

**„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. შ. ა. სარალიძემ გაითვალისწინოს რეჟისორ მ. კობახიძის დაბალი პროფესიული დონე და მომავალში აღარ დაავალოს მას დამოუკიდებლად მხატვრული ფილმების დადგმა. იგი გამოიყენოს გამოცდილი დამდგმელი კინორეჟისორების ხელმძღვანელობით შექმნილ გადამღებ ჯგუფებში დამხმარე რეჟისორად“.**

ხომ გახსოვთ, ძვირფასო მკითხველო, „ქორწილის“ წარმატებას რომანოვის როგორი დეპეშა და „ყვავის კაკალი“ მოჰყვა მოსკოვიდან? მაღალიდეური ფილმიო, დასაჩუქრდეს 200 მანეთით ა. შ. ცოტა ხანში კი იმპერიის ცენტრიდან რომანოვი სასტიკ ბრძანებას უგზავნის „გუბერნიის“ ხელქვეითებს: დაბალი პროფესიული დონე აქვს კობახიძეს და მომავალში ფილმი აღარ გადაიღოსო.

— კი, მაგრამ, ასეთნაირად, მაინც რამ, ან ვინ გააბრაზა მოსკოვი? — ვეკითხები რეჟისორს.

— **ჩემთვის რომ დადგმა აეკრძალათ და რომანოვს ასეთი ბრძანება დაეწერა, ეს მომზადდა საქართველოში...**

— და მაინც, ვისგან მომზადდა, ვინ იყვნენ...

— **რას მომცემს ახლა მე მათი გვარების დასახელება? მათ შვილები, შვილიშვილები ჰყავთ და არ მინდა ამდენი წლების შემდეგ რომელიმე მათგანს გული ვატკინო.**

— **ჩვენგან ვინმეს, პროტესტი ხომ არ გაუგზავნია?**

— **არა... მე თვითონ დავწერე დიდი წერილი — დოკუმენტებით დატენილი და გავგზავნე ბრეჟნევთან. რა თქმა უნდა, ბრეჟნევი იმის წამკითხავი არ იყო, ერმაშმა — ცეკას განყოფილების გამგემ — კი ნაღდად წაიკითხა (მერე ეს ერმაში რომანოვის ადგილზე აღმოჩნდა).**

დარჩა სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმის ამარა (ასეა დღემდეც) რეჟისორი, რომელსაც, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კინომცოდნენი გამოჩენილ ხელოვანთა გვერდით იხსენიებენ.

## გაქრობა

მახსოვს, როგორ უჭირდა, რა ეკონომიური, საყოფაცხოვრებო პირობები ჰქონდა, — **„ერთი ცნობილი ქართველი კინოდრამატურგის დიდ ბინაში დავაგე ხალიჩის იატაკი და ავიღე იმდროისათვის კარგი თანხა — 700 მან. სულ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამოვდივარ, მაგრამ ჯერ ვერ გამოვედი, ეს გვირაბი ძალიან გრძელი აღმოჩნდა...“**

თუმცა, ეს ყოველივე, რა სახსენებელია მის შინაგან მდგომარეობასთან შედარებით. და მაინც ცდილობდა, არ ჩამოსცილებოდა საქმეს.

1976 წელს მიხეილ კობახიძე აბარებს სცენარს სრულმეტრაჟიანი ფილმისთვის „წინათგრძნობა“. თითქოს გრძნობს, ისევ შეედავებიანო რაღაცას და იგი, სიტყვასიტყვით იმეორებს ლიტერატურულ სცენარს სარეჟისორო სცენარის წერისას.

მაინც შეედავნენ..

აი, ნაწყვეტი დასკვნიდან, რომელსაც საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სარედაქციო სასცენარო კოლეგია უგზავნის საქართველოს სსრ სახკინოს თავმჯდომარეს ა. დვალიშვილს და კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორს რ. ჩხეიძეს: **„...სარეჟისორო სცენარმა არა მარტო მოხსნა შიში, რომელსაც იწვევდა ლიტერატურული მასალა, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავა იგი“.**

და, სარეჟისორო სცენარი საბოლოოდ აღარ მიიღეს...

ამის შემდეგ მიხეილ კობახიძე აკეთებს ოფიციალურ განცხადებას, რომ იგი საბჭოთა კავშირში ფილმს აღარ გადაიღებდა.

— **მახსოვს, იმ დღეებში კინოსტუდიაში შემხვდა ერთი დიდად აღიარებული კინოხელოვანი და მითხრა: — მიშა, გავიგე, გითქვამს — სანამ საბჭოთა კავშირი არ დაინგრევა, მე აქ ფილმს აღარ გადავიღებო, მართალია?.. მართალია-მეთქი. და, შენ გაქვს ამის იმედი?.. რა თქმა უნდა — ვუპასუხე. ბევრი იცინა — მაგ იმედით იყავიო... მე შვილებიც არ შევიყვანე საბჭოთა სკოლაში, რათა იმ რეჟიმის დაღი არ დასმოდათ... თუმცა ამით მათ განათლებას რაღაც დააკლდა, მაგრამ თავისუფალი პიროვნებები გაიზარდნენ...**

**1981 წელს გამომიძახა ედუარდ შევარდნაძემ და მითხრა: გადაიღე, რაც გინდა, ჩვენ ყოველნაირად შეგიწყობთ ხელს. ისიც კი დასძინა: თუ გინდა ანტისაბჭოთა იყოს,**

(დასასრული მე-4 გვ.)

„ხუთ წელიწადს ველოდით ცნობას განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ“

„ის, რომ მოსკოვმა ფილმების დადგმა ამიკრძალა, საქართველოში მომზადდა“

---

### ალტერნატივა

# საქმისთვის ასე აჯობებს

დღეს, როდესაც გამოცხადებულია, რომ სახელმწიფოში მიმდინარეობს პრივატიზაცია, ამასთან პრივატიზებაში მონაწილეობს ვაუჩერი, მე კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი, ვალდებული ვარ ჩემი მოსაზრებანი გამოვიტანო საზოგადოების სამსჯავროზე. ვაუჩერის პრივატიზებაში გამოყენების თაობაზე წინადადება ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ 4 წლის წინათ წამოაყენა. აღსანიშნავია, რომ ამ წინადადებას დიდი წინააღმდეგობები შეხვდა, რადგან პარტიის ძალისხმევა ვაუჩერის შემოღებისა და მისი ნომინალის არდაწერაზე უკვე ფაქტია, ვალდებული ვარ ვაუჩერის ნამდვილ ნომინალზე ვილაპარაკო. თუ პრივატიზება მხოლოდ ვაუჩერით ჩატარდება, მაშინ გახდება ვაუჩერი სახელმწიფო ქონებიდან მოქალაქის რეალური წილი. სხვათა შორის, ეს წილი მყარ ვალუტაში [illegible] 4 ათას დოლარს უდრის. თუ პრივატიზებაში [illegible] იქნა გამოყენებული, და არა მთლიანად, მაშინ ვაუჩერის ნომინალი მკვეთრად ვარდება, რაც მოსახლეობისათვის არახელსაყრელია.

ამიტომაც გთავაზობთ პრივატიზების კონცეფციის პროექტს, რომლის რეალიზება ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული.

# ვაუჩერით პრივატიზების კონცეფცია

**პრივატიზების** კონცეფცია შეიძლება განხილულ იქნას:

ა) როგორც მოკლე ვადაში პრივატიზირებული ობიექტებიდან შემოსული თანხით ხაზინის შევსება;

ბ) როგორც განკერძოებული ობიექტების რენტაბელურად ამოქმედების მონაგები თანხებიდან გადასახადების სახით სახელმწიფო ხაზინის შევსება და პროდუქციით ბაზრის შევსება.

ჩვენთვის მისაღები არის მხოლოდ მეორე ვარიანტი, ვინაიდან პრივატიზაცია არის ერთმიმართული ქმედება, რომლის შეჩერებაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში შეუძლებელია, მისი დაჩქარება ან შენელება დამოკიდებული არის მხოლოდ ბაზარზე, და როდესაც ვსაუბრობთ პრივატიზაციის დაჩქარებაზე, ვგულისხმობთ — პრივატიზაციის პროცესის დაწყების დაჩქარებას.

როდესაც განვიხილავდით პრივატიზაციის პროცესს საქართველოში, ჩვენ გამოვდიოდით შემდეგი რეალობებიდან:

1. საქართველოს არ გააჩნია საკუთარი ვალუტა;
2. სახელმწიფო იმყოფება პოსტ-სოციალისტურ არეალში არა მარტო ეკონომიკის თვალსაზრისით, არამედ ხალხის ცნობიერებითაც;
3. ქვეყანაში არ არსებობს კერძო საკუთრების „მსხვილი“ ინსტიტუტი;
4. გარკვეული საწარმოებისა და ობიექტების მიტაცება უკვე მომხდარი ფაქტია და მათი საპრივატიზაციო ნუსხაში დაბრუნება რეალურად შეუძლებელია.
5. არსებობს საკანონმდებლო ვაკუუმი კანონებისა, რომლებიც რეგულირებას მოახდენდნენ სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეს შორის;
6. პრაქტიკულად არ არის ჩამოყალიბებული ფასიან ქაღალდთა ბაზარი;

ქვეყნის საზღვრების დაცვა პრაქტიკულად ვერ ხორციელდება.

ამ ვითარებიდან გამომდინარე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მოსახლეობის 7-10 პროცენტის ხელში დაგროვებულია ქონების 90 პროცენტი, ჩვენ შემოთავაზებული გვქონდა პრივატიზების ჩატარება საქართველოში მხოლოდ ვაუჩერით, სადაც ვაუჩერს ენიჭებოდა შემდეგი თვისებები:

● **ვაუჩერი, როგორც სახელმწიფო ქონების საპრივატიზაციო ნაწილის, ცალკეული მოქალაქის წილი.**

ამისთვის აუცილებელი იყო საქართველოს ქონების აღწერა, მისი მყარ ვალუტაში შეფასება (მიწა, საცხოვრებელი ფართი, წარმოებები, ობიექტები, ტექნოლოგიები და სხვ.), ჯამიდან სახელმწიფო ქონების გამოკლება, რომლებიც პრივატიზაციას არ განეკუთვნება. დარჩენილი თანხის საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე გაყოფა და ეს თანხა შეადგენს **ცალკეული მოქალაქის „საერთო ქონების“ წილს**, რომელიც ვაუჩერის სახით მიეცემა თითოეულ მოსახლეს.

● **ვაუჩერი, როგორც ეროვნული ვალუტის ეკვივალენტი.**

იმ შემთხვევაში, როდესაც ვაუჩერის ნომინალი არის სახელმწიფო ქონების რეალურად ამსახველი თანხა, ვაუჩერიზაციის დამთავრების შემდეგ ადვილი ხდება ვაუჩერადქცეული ქონების ნომინალის რაოდენობის ეროვნული ვალუტის გამოშვება.

● **ვაუჩერი, როგორც არალეგალურად მიტაცებული ქონების საფასურის მოსახლეობისთვის დაბრუნების მექანიზმი.**

თუ პრივატიზაციის პროცესი მარტო ვაუჩერით (ნებისმიერი ფული გამოირიცხება) წარიმართება, მაშინ მიტაცებული ქონების დასამტკიცებლად, მიმტაცებელი ვალდებული იქნება წარმოადგინოს იმ რაოდენობის ვაუჩერი, რამდენადაც იქნება შეფასებული მიტაცებული ობიექტი, ამიტომ ის იძულებული ხდება ვაუჩერი შეიძინოს მოქალაქეებისაგან ფასიან ქაღალდთა ბაზარზე, და ამ შემთხვევაში ვაუჩერის ფასი ბევრად უფრო მაღალი იქნება, მის ნომინალთან შედარებით; ამიტომ არალეგალურად მოპოვებული ქონება უბრუნდება მოსახლეობას ვაუჩერის გაყიდვის შემდეგ აღებული თანხით.

● **ვაუჩერი, როგორც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში ერთნაირი სასტარტო საშუალება.**

ჩვენ გვესმის, რომ ვაუჩერის უდიდესი ნაწილი მაინც მოსახლეობის 7-10 პროცენტის ხელში მოგროვდება, მაგრამ მოქალაქე ვაუჩერის გაყიდვის შემთხვევაში მიიღებს თანხას, რომელიც მას საშუალებას მისცემს, თუ პრივატიზებაში არა, ეს თანხა „თავისი საქმის“ დასაწყებად გამოიყენონ. აქვე შეიძლება ითქვას, რომ ვაუჩერი ემსახურება სოციალური დაცვის მექანიზმს.

● **ვაუჩერი, როგორც სახელმწიფო ხაზინის შევსების საშუალება.**

ფასიან ქაღალდთა ბაზარზე ვაუჩერის გაყიდვის შემთხვევაში, დადგენილი ეკვივალენტის ზემოთ მიღებული თანხის 20 პროცენტამდე უნდა შედიოდეს სახელმწიფო ხაზინაში.

● **ვაუჩერი, როგორც დემოგრაფიული მდგომარეობის სტაბილიზაციის საშუალება.**

ეს თემა სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე შეიძლება განხილულ იქნას დახურულ სხდომაზე.

ვაუჩერის ყველა ეს თვისება შეიძლება ამოქმედებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ქვეყანაში პრივატიზაცია მხოლოდ ვაუჩერით ჩატარდება. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს უკვე დარიგებულ მიწას, საცხოვრებელ ფართს და ზოგიერთ ობიექტს, თუ საწარმოს, რადგან ვაუჩერის ნომინალი იმდენად იზრდება, რომ ოჯახის კუთვნილი ვაუჩერები ფარავენ მიწის, თუ საცხოვრებელი ფართის ფასს.

ჩვენი კონცეფციის განსახორციელებლად აუცილებელია, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უფლებამოსილების, როგორც გაზრდა, აგრეთვე რეკონსტრუქცია და დახვეწა. მიგვაჩნია, რომ სამინისტრო უნდა ატარებდეს შემდეგ ფუნქციებს:

1. მთლიანი სახელმწიფო ქონების (მიწა, საცხოვრებელი ფართი, ობიექტები, საწარმოები და სხვ.), აღწერა-შეფასება;
2. ფასის მყარ ვალუტაში ფიქსირება;
3. საპრივატიზაციო ქონების სახელმწიფო ქონებიდან გამოყოფა (მისი რაოდენობის და ფასის ჩვენებით) და ამ ქონების შესაბამის უწყებებზე გადაცემა პრივატიზებისათვის (მისაღებია პრივატიზაციის ყველა ფორმა — აქციონირება, გაყიდვა და ა. შ., მაგრამ მხოლოდ ვაუჩერებით);
4. ამის შემდეგ სამინისტრო ხდება უწყებათა შორის კოორდინატორის და მაკონტროლებელი ფუნქციის შემსრულებელი;
5. პრივატიზაციიდან და ფასიანი ქაღალდებიდან შემოსული თანხები სამინისტროს და უწყებების კონტროლის ქვეშ, ხმარდება პრივატიზებული ობიექტების, საწარმოების, მიწის და ა. შ. ამოქმედებას;
6. პრივატიზებული საწარმოების, ობიექტების და სხვ. გაკოტრების შემთხვევაში, სამინისტრო გამოისყიდის გაკოტრებულ ობიექტს და ამზადებს ხელახალი პრივატიზაციისათვის;
7. სამინისტრო ახორციელებს საორგანიზაციო სტრუქტურირებას და პრივატიზაციის სერვისს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული, საშუალებას იძლევა, დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით, ქვეყანაში დაიწყოს პრივატიზაცია. ამ შემთხვევაში პროცესი ეკონომიურად გამართლებულია, ხოლო სოციალურად კი — დაცული.

**ზურაბ მურვანიძე,**
კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატი.

---

# საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

## ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

## ფილიალები: ქ. მარნეულში, ქ. თელავში

**აცხადებენ მიღებას 1995-1996 სასწავლო წელს შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებზე:**

## I. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი:

### 1. აგრონომიული ფაკულტეტი

აგრონომ-ტექნოლოგი, ტექნოლოგ-საკვებმწარმოებელი: (დასწრებული და დაუსწრებელი); აგროქიმია, ნიადაგმცოდნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის ექსპერტიზა, მცენარეთა დაცვა, სელექცია-გენეტიკა, აგროეკოლოგია: (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 2. ტექნოლოგიის ფაკულტეტი

დაკონსერვების ტექნოლოგია, მეღვინეობის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია: (დასწრებული და დაუსწრებელი).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა);

ხილ-ბოსტნეულისა და ყურძნის მოყვანის ტექნოლოგია (დასწრებული და დაუსწრებელი).

მისაღები გამოცდები: ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 3. მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი

მეაბრეშუმეობის ტექნოლოგია (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: ქიმია (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 4. სატყეო ფაკულტეტი

სატყეო მეურნეობა, მწვანე მშენებლობის არქიტექტურა: (დასწრებული და დაუსწრებელი), ხე-ტყის დამზადების და დამუშავების ტექნოლოგია (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 5. ეკონომიკის ფაკულტეტი

აგრობიზნესის ეკონომიკა და მართვა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საბანკო-საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობა (დასწრებული და დაუსწრებელი); მიწის რესურსების მართვა (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ბიოლოგია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 6. მექანიზაციის ფაკულტეტი

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (დასწრებული და დაუსწრებელი), სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რემონტი და ტექმომსახურება; ავტომობილები, ტრაქტორები და სპეციალური მანქანები (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 7. ჰიდრომელიორაციის ფაკულტეტი

ჰიდრომელიორაცია (დასწრებული და დაუსწრებელი).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

საინჟინრო ეკოლოგია (დასწრებული):

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ქიმია (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

### 8. ელექტროფიკაციის ფაკულტეტი

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია და ავტომატიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შენახვა-გადამუშავების ელექტროფიკაცია (დასწრებული).

მისაღები გამოცდები: მათემატიკა (წერა), ფიზიკა (ზეპირი), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა).

## II. ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი:

აგრონომ-ტექნოლოგი, სატყეო მეურნეობა, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (დასწრებული და დაუსწრებელი); საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (დასწრებული), საბანკო-საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობა (დაუსწრებელი), საინჟინრო ეკოლოგია (დასწრებული).

## III. მარნეულის ფილიალი

აგრონომ-ტექნოლოგი (ქართული და რუსული სექტორი), აგროეკოლოგია (ქართული სექტორი), დაკონსერვების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორი), მეღვინეობის ტექნოლოგია (ქართული სექტორი), ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია (ქართული და რუსული სექტორი), აგრობიზნესის ეკონომიკა და მართვა (რუსული სექტორი), საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (ქართული და რუსული სექტორი), საბანკო-საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობა (რუსული სექტორი), მიწის რესურსების მართვა (ქართული სექტორი): დასწრებული და დაუსწრებელი); ავტომობილები, ტრაქტორები და სპეციალური მანქანები (ქართული და რუსული სექტორი); (დასწრებული). სოფლის მეურნეობის მექანიზაცია (ქართული და რუსული სექტორი); (დაუსწრებელი).

## IV. თელავის ფილიალი

აგრონომ-ტექნოლოგი, დაკონსერვების ტექნოლოგია, მეღვინეობის ტექნოლოგია, ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების ტექნოლოგია, აგრობიზნესის ეკონომიკა და მართვა, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები, საბანკო-საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობა, სოფლის მეურნეობის მექანიზაცია, სატყეო მეურნეობა (დასწრებული და დაუსწრებელი); საინჟინრო ეკოლოგია, მეაბრეშუმეობის ტექნოლოგია (დასწრებული), ტექნოლოგ-საკვებმწარმოებელი (დაუსწრებელი).

აგრარული უნივერსიტეტის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში გამოცხადებულ სპეციალობებში მისაღები გამოცდები ჩატარდება იმავე საგნებში, რაც გამოცხადებულია აგრარული უნივერსიტეტისათვის. მარნეულის ფილიალში რუსულ სექტორებზე მესამე გამოცდა ჩატარდება რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

**შენიშვნა: ქ.მარნეულის ფილიალისათვის რუსულ სექტორებში წერითი გამოცდები ჩატარდება რუსულ ენაში: რუსულ სკოლა დამთავრებულთათვის თხზულება, ქართულ სკოლადამთავრებულთათვის კი კარნახი.**

## გამოცდების ჩატარების წესი

**წერითი გამოცდა** — აბიტურიენტებს ურიგდებათ ინდივიდუალური ბილეთები და სპეციალური ფურცლები, ყველა მათგანს აქვს ცალკე სამუშაო მაგიდა, დადგენილი დროის გასვლის შემდეგ (**დარბაზში წერისათვის გათვალისწინებულია ოთხი ასტრონომიული საათი**), აბიტურიენტები აბარებენ წერით სამუშაოს, ნაწერები გასწორდება იმავე დღეს და შედეგები გამოცხადდება საუნივერსიტეტო რადიოთი.

**პროტესტი მიიღება მეორე დღეს შესაბამისი განცხადებით 12 საათიდან ერთი საათის განმავლობაში.** 13 საათიდან საპრეტენზიო კომისია ნაწერებს აბიტურიენტის თანდასწრებით განიხილავს.

**კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და უნივერსიტეტის ფარგლებში გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

**ზეპირი გამოცდა** — აბიტურიენტები ბილეთის აღების შემდეგ სხდებიან ცალკე მაგიდასთან და მიმღები კომისიის მიცემულ „ზეპირი გამოცდის ფურცლებში“ თავიანთი შეხედულებების მიხედვით წერენ პასუხს. **მოფიქრების დრო** 40 წუთი. პასუხს ისმენს გამომცდელი და მიღებულ გადაწყვეტილებას ნიშნის შესახებ აცნობს აბიტურიენტს. აბიტურიენტს უფლება აქვს, აუდიტორიიდან **გასვლამდე განაცხადოს პროტესტი, რომელსაც განიხილავს იმავე აუდიტორიაში მყოფი საპრეტენზიო კომისია.**

**კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და უნივერსიტეტის ფარგლებში გასაჩივრებას არ ექვემდებარება.**

აბიტურიენტები, რომლებმაც დაამთავრეს არაქართული სკოლა და სურთ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება, საგნებს ჩააბარებენ რუსულ ენაზე, ხოლო ქართულ წერას — წაკითხულის შინაარსს — ქართულად.

**უნივერსიტეტში მიღების წესების შესაბამისად:**

აბიტურიენტებად მიიღებიან საშუალო განათლებამიღებული პირები **ასაკის შეუზღუდავად;**

უნივერსიტეტში შესვლისას ყველა აბიტურიენტი სარგებლობს **თანაბარი უფლებით;**

ყველა ფაკულტეტზე კონკურსი ტარდება **სპეციალობების მიხედვით;**

აბიტურიენტებმა მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ განცხადებას უნდა დაურთონ:

**საშუალო განათლების დოკუმენტის დედანი, დანართთან ერთად, სამედიცინო ცნობა (ფორმა № 086), ექვსი ფოტოსურათი (3X4 სმ).**

პასპორტისა და სამხედრო დოკუმენტის წარმოდგენა აუცილებელია საბუთების ჩაბარებისა და გამოცდების დროს.

**განცხადებების მიღება,** საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში **1 ივლისიდან 21 ივლისამდე.** მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში: ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, **1 ივნისიდან 25 ივლისამდე,** მარნეულის ფილიალში **1 ივნისიდან 21 ივლისამდე,** თელავში **15 ივნისიდან 28 ივლისამდე,** ყოველდღე, კვირის გარდა, 10 საათიდან, 15 საათამდე.

**მისაღები გამოცდები მოეწყობა:** საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში **23 ივლისიდან 10 აგვისტომდე,** მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში: ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, **25 ივლისიდან 15 აგვისტომდე,** მარნეულის ფილიალში **23 ივლისიდან 10 აგვისტომდე,** თელავის ფილიალში, **1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე;**

მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებულ მომსახურებისა და კონსულტაციებისათვის აბიტურიენტებმა უნდა გადაიხადონ 1 ივლისისათვის დადგენილი კურსით **8 დოლარის** ეკვივალენტური თანხა (კუპონებით, მანეთებით, დოლარებით და სხვა), ჩაჭრილ აბიტურიენტებს აღნიშნული თანხა არ დაუბრუნდებათ;

აბიტურიენტების პასუხი გამოცდებზე შეფასდება ათბალიანი სისტემით;

ჩარიცხვა მოხდება დაგროვილ ქულათა ჯამის საფუძველზე;

თანაბარქულიანი აბიტურიენტები ჩაირიცხებიან კომისიის შემუშავებული კრიტერიუმის მიხედვით;

დიდი კონკურსის შემთხვევაში ცალკეულ სპეციალობებზე დადებითქულიანი აბიტურიენტების საკითხი ფასიან სწავლებაზე ჩარიცხვის შესახებ, მათივე სურვილისამებრ იქნება განხილული;

დაშვებულია სტუდენტთა ფასიანი სწავლება მიზნობრივად ორგანიზაციების, დაწესებულებების, საწარმოების შეკვეთით და სწავლების საფასურის გადახდით.

## ღია კარის დღე მოეწყობა

აგრარულ უნივერსიტეტში და მის ქვედანაყოფებში: ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში; მარნეულის და თელავის ფილიალებში: 20 ივნისიდან, ყოველ პარასკევს, 12 საათზე.

## მისამართები:

**აგრარული უნივერსიტეტის:** თბილისი, დიღომი: 380031, დავით აღმაშენებლის ხეივანი, 13-ე კმ., საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, ტელ: 51-92-66. ავტობუსი — დიდუბის მეტროს ქვედა სადგურიდან და გაგარინის მოედნიდან.

**ბათუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის:** 384500, ბათუმი, მწვანე კონცხი.

**მარნეულის ფილიალის:** ქ. მარნეული — 383130, ერეკლე II-ს 21.

**თელავის ფილიალის:** ქ. თელავი, 383330, თბილისის გზატკეცილი, 26, ყოფილი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის შენობა, ტელ: 3-28-34.

# გაელვება, გაქრობა და გამოჩენა

## მიხეილ კობახიძისა

(დასასრული)

მაინც გადავიღე, კრილცამ ხომ უნდა თქვას სიმართლე... თუ რამ პრობლემები გაგიჩნდა, ყველაფერი მოგვარებული იქნებაო. შემომთავაზა, ასევე, საბინაო პირობების გაუმჯობესება. ძალიან ვიწროდ ვცხოვრობდით და ბინა რასაკვირველია მჭირდებოდა, მაგრამ მოვერიდე ეს მეთქვა და, ვუთხარი — საკმარისი ფართი მაქვს-მეთქი.

ამ შემოთავაზებამ იმდენად იმოქმედა ჩემზე, რომ გადავწყვიტე დამეწყო მუშაობა ჩემი საყვარელი პროფესიით. მართალია, იქვე პასუხი არ მიმიცია ამის შესახებ, მაგრამ განვაახლე ჩემში ფიქრი ფილმზე, რომელსაც ვუძღვნიდი ძველ თბილისს და შევუდექი არქივებში მასალების შეგროვებას.

1988 წლის შემოდგომაზე თვითმფრინავის გატაცების ამბავმა ჩვენ ისეთი უბედურება დაგვატეხა თავს, რომ მუშაობის გაგრძელებამ ყოველგვარი აზრი დაკარგა. უმალ სტუდიაში ხელფასიც მომიხსნეს...

ეტყობა, კეთილი ადამიანები არ დაილევა ამ ქვეყნად — მე დღემდე მადლობელი ვარ იმ ხალხისა, რომლებმაც ხელი მოაწერეს თხოვნას ახალგაზრდების (მათ შორის ჩემი ვაჟიშვილის — გეგას) შეწყალებაზე. თუმცა, როგორც იცით, ისინი მაინც არ დაინდეს.

— ამართლებთ თუ არა მათ მოქმედებას?..

— თუკი საბჭოთა კავშირი იმ ზომამდე იყო მოშლილი, რომ იგი თავისთავად ინგრეოდა, ხოლო ახალგაზრდებს მისგან თავის დაღწევა უნდოდათ, მაშინ მათი მოქმედება გამართლებულია... მე ისიც ვიცი, რომ მათ არავინ მოუკლავთ თვითმფრინავში, სასამართლო წინასწარ შეთითხნილი სცენარით მიდიოდა...

— როგორ ფიქრობთ: ვისი ან რისი ბრალი იყო ეს ტრაგედია?...

— ყოველივე შედეგი იყო იმ წყობილებისა, რომელშიც ჩვენ 70 წელიწადი ვცხოვრობდით და რომელიც ახე უმწეოდ და უბრძოლველად დაემხო.

— იმ უმკაცრესი განაჩენის გამო კონკრეტულად თუ ადანაშაულებთ ვინმეს?

— მე არ ვიცოდი მაშინდელი „კაგებეს“ შიდა სამზარეულო. ამდენად, არც ის ვიცი, რა მექანიზმი ამუშავდა უმკაცრესი განაჩენის გამოტანისას. ამ მექანიზმის ამუშავებაში რომ გარკვეული პიროვნებები მონაწილეობდნენ, ფაქტია. ეს იყო უმძიმესი წლები... წარმოიდგინეთ, კარგა ხანს ისიც კი არ ვიცოდით, მოიყვანეს თუ არა განაჩენი სისრულეში... ბოლოს, 1988 წელს, მივედი ჯუმბერ პატიაშვილთან და მან გამაგებინა ყოველივე — განაჩენი სისრულეშია მოყვანილი და თქვენ ამის შესახებ მიღებული უნდა გქონოდათ ცნობაო, მაგრამ ჩვენ არავითარი ოფიციალური შეტყობინება არ გვქონია.

ამის შემდეგ მალე ოფიციალური ქაღალდიც მივიღეთ...

ადამიანს რომ გულს ამოაცლიან და ცხოვრება მაინც გრძელდება, ისე დავრჩი... შემეძინა ქალიშვილი ანა და ჩემს გულში კვლავ აინთო ის ცეცხლი, რომელიც დავკარგე დიდი ტრაგედიის შედეგად.

ანას გაჩენასთან დაკავშირებით მინდა დიდი სიყვარულით და მადლიერებით მოვიხსენიო მარიკა და გურამ ქარქაშაძეები, რომლებმაც ამ უაღრესად მძიმე დროს, თავისი ბინის ნაწილი დაუთმეს ჩემს პატარა ოჯახს და შეგვიკედლეს.

### გამოჩენა

კინემატოგრაფში მიხეილ კობახიძის დაბრუნება, ეტყობა, მაინც სსრ კავშირის დანგრევამ განაპირობა. მან ხომ ადრე ოფიციალურად დაწერა კიდეც — ამ ქვეყანაში ფილმს არ გადავიღებო. აქაც თავისი პრინციპების ერთგული დარჩა. სწამდა და ელოდა...

საბედნიეროდ, მიხეილ კობახიძე უკვე მთელი არსებით არის ჩართული კინემატოგრაფში. 1994 წელს მისმა სცენარმა პარიზში გამართულ კონკურსში გაიმარჯვა და მომავალი ფილმის გადაღებისათვის დაფინანსება მიიღო საფრანგეთის კულტურისა და საგარეო საქმეთა სამინისტროებისგან. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ, აგრეთვე, რუსეთი და გერმანია.

— საინტერესოა: მაშინ, როცა სამი საზღვარგარეთის ქვეყანა აფინანსებს ქართულ ფილმს, ჩვენთან თუ დაინტერესდა ვინმე, რომ მონაწილეობა მიეღო დაფინანსებაში?

— ჯერჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს..

ფილმს ჩემს საკუთარ სტუდიაში — „მე ფილმში“ ვიღებ საფრანგეთის სტუდია „ბარნაბა ფილმთან“ ერთად... უკვე ვმუშაობ სარეჟისორო სცენარზე... კონტრაქტზე ხელი მოწერილია და გაისად ფილმი მზად უნდა იყოს.

— მაინც, რაზე იქნება იგი?

— ეს იქნება ვარიაციები სიყვარულის თემაზე...

— ესე იგი კინოკონცერნთან არავითარი კავშირი არა გაქვთ?

— ეს გამოიწვევს მუშაობაში ზედმეტი ხალხის ჩართვას, გაუთავებელი, უაზრო გადაწყვეტილებების გამოტანას.. მე ყველასგან განვთავისუფლდი... ჩემს პრობლემებს თვითონვე ვწყვეტ და მასში არავის ვრევ... მხედველობაში მაქვს ფინანსური, ორგანიზაციული თუ შემოქმედებითი მხარე. ამისათვის კი საფრანგეთში მყოფნის ერთი ფრანგი პროდიუსერი...

• • •

ეს წელიწადიც კარგად დაიწყო მიხეილ კობახიძისათვის. თებერვალში იგი, როგორც საპატიო სტუმარი მიწვეული იყო საფრანგეთის ქალაქ კლერმონ-ფერანში მოკლემეტრაჟიანი ფილმების ტრადიციულ საერთაშორისო კინოფესტივალზე. ფესტივალი, ამჯერად, კინემატოგრაფის 100 წლისთავს ეძღვნებოდა და წარდგენილი იყო ამ საუკუნის 100 საუკეთესო ფილმი, მათ შორის — „ქორწილი“.

ფესტივალზე ალმოჩენად ჩათვალეს აგრეთვე „ქოლგა“, „მუსიკოსები“ და მისი სტუდენტური ფილმები, რომლებიც რეჟისორმა „სხვათაშორის“ აჩვენა ფესტივალის მონაწილეებს.

საინტერესოა, რომ იქვე მოხდა მისი მიპატიჟება კინემატოგრაფის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალებზე ყველა თავისი ფილმით (ცერძოდ პორტუგალიაში, გერმანიაში, ინგლისში და ა. შ.). პორტუგალიაში, მიხეილ კობახიძე, მსოფლიოს ხუთ გამოჩენილ რეჟისორთან ერთად, თავისივე შედგენილი პროგრამით ჩავა..

— ჩვენს მკითხველებს, უეჭველია, აინტერესებთ „დაბრუნებული კაცის“ აზრი საქართველოში დღეს მიმდინარე პროცესებზე...

— საერთოდ, იმპერიის დასასრული ლოგიკური იყო, უმიზეზოდ არაფერი ხდება და ძალადობაზე აგებული „მძლე კავშირი“ დაინგრა, ხოლო, რახან ჩვენ (ქართველებს) დიდი წვლილი მიგვიძღვის „ბოროტების იმპერიის“ შექმნაში, რაც დავთესეთ, ის მოვიმკეთ...

წარმოიდგინეთ, სრულიადაც არ მეპარება ეჭვი, რომ საქართველოში ყველაფერი კარგად იქნება, ოღონდ ამას დიდი დრო დასჭირდება... განწმენდას, ნანგრევებიდან გამოსვლას დიდი დრო უნდა...

• • •

ფრანგულ ჟურნალ „„ბრეფის“ შარშანდელ მეცხრამეტე ნომერში მოზრდილი სტატიაა გამოქვეყნებული მიხეილ კობახიძის შემოქმედებაზე.

აი, რას წერს ერთგან თავად რეჟისორი: „მე ყოველთვის მინდოდა სიხარულის მოტანა ჩემი მაყურებლებისათვის, როცა დილა თენდება, მზე ამოდის და ბრწყინავს, ეს ჩვენ გვახარებს. კინოში მე მინდა ამ გრძნობის გადმოცემა. შეიძლება პრეტენზიულია ის, რასაც ახლა ვამბობ, მაგრამ მე მინდა სინათლის და სიყვარულის მოტანა, ეს გრძნობა თან მახლავს ბავშვობიდან და იგი მარტო ფილმებს არ ეხება“.

მიხეილ კობახიძე ის ხელოვანია, კვლავაც რომ გვაზიარებს დიდ სიხარულს, დიდ სინათლეს, დიდ სიყვარულს.. მერედა, როგორ გვჭირდება დღეს ყოველივე...

**ვილენ მარდალეიშვილი.**

## „ჩემი შვილი ტოტალიტარულმა რეჟიმმა იმსხვერპლა!“

---

## საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

**აცხადებს მსმენელთა მიღებას 1995-1996 სასწავლო წლისათვის დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე.**

**აკადემია ამზადებს:** იურისტებს — სამართალმცოდნეობის სპეციალობით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინერ-იურისტებსა და სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკის ინჟინერ-იურისტებს, რომელ მიენიჭებათ პოლიციის ოფიცრის სპეციალური წოდება.

დასწრებულ განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო პროფესიულ-ტექნიკური და საშუალო სპეციალური განათლების მქონე რესპუბლიკის მოქალაქენი (მამაკაცები) 17-დან 27 წლამდე, ხოლო დაუსწრებელ სწავლებაზე რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, საშუალო პროფტექნიკური, საშუალო სპეციალური ან უმაღლესი განათლება და არიან შინაგან საქმეთა ორგანოების ან შინაგანი ჯარების ატესტირებული თანამშრომლები, აღნიშნულ ორგანოებში მუშაობის (სამსახურის) ერთი წლის სავალდებულო სტაჟით.

აკადემიის დასწრებული განყოფილების კურსდამთავრებულები სამუშაოდ განაწილდებიან იმ ორგანოებში, რომელთა რეკომენდაციითაც ისინი იქნებიან მივლინებული სასწავლებლად.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

**სამართალმცოდნეობის სპეციალობაზე** ფიზიკური აღზრდა (ჩათვლა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი), სამართალმცოდნეობა (ზეპირი).

**ტექნიკური ფაკულტეტის ორივე სპეციალობაზე** (საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ინჟინერ-იურისტი, სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკის ინჟინერ-იურისტი): ფიზიკური აღზრდა (ჩათვლა), მათემატიკა (წერა), ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), საქართველოს ისტორია (ზეპირი).

დაუსწრებელ სწავლებაზე შემსვლელნი ჩათვლას ფიზიკურ აღზრდაში არ აბარებენ.

არაქართულ სკოლადამთავრებულთათვის წერითი გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ითვალისწინებს წაკითხული მხატვრული ტექსტის შინაარსის გადმოცემას.

**სწავლების ვადა დასწრებულ განყოფილებაზე** სამართალმცოდნეობის სპეციალობისათვის **4 წელია, დაუსწრებელზე 5 წელი, ხოლო ტექნიკურ ფაკულტეტზე: დასწრებულზე 4,5 წელია, დაუსწრებელზე 5 წელი.**

სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკის ინჟინერ-იურისტის სპეციალობაზე სწავლება ორსაფეხურიანია: პირველ საფეხურზე სწავლის ხანგრძლივობა 2,5 წელია, მეორეზე 2 წელი. პირველი საფეხურის კურსდამთავრებულებს ენიჭებათ **სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკოსის** კვალიფიკაცია (ოფიცრის სპეციალური წოდებით) და სამუშაოდ იგზავნებიან ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებში, ხოლო წარჩინებული კურსდამთავრებულები, სურვილის მიხედვით სწავლას გააგრძელებენ მეორე საფეხურზე რომლის დამთავრების შემდეგ მიენიჭებათ **სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკის ინჟინერ-**

**კვალიფიკაცია.**

სახანძრო უსაფრთხოების და ტექნიკის იურისტის სპეციალობით დაუსწრებელი მესამე კურსზე მიიღებიან (სასწავლო გე ვალისწინებული განსხვავებული საგნებ ბის პირობით) სახანძრო-ტექნიკური კოლ წავლებლის) და სხვა ტექნიკური უმაღლე ვლებლის კურსდამთავრებულნი, რომლე ობენ ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურებში და ნადო შუამდგომლობით მივლინებულნი აკადემიაში სასწავლებლად.

აკადემიაში შესვლის მსურველებმა გა უნდა მიმართონ საცხოვრებელი ადგილის შესაბამის პოლიციის (ხანძარსაწინააღმდე ხურის) რაიონულ განყოფილებას, რომე დგომლობით, აბიტურიენტის სათანადო ქმე გადაიგზავნება შინაგან საქმეთა სამ კადრების სამმართველოში, სადაც მოეწ ტურიენტთა გასაუბრება, რომლის საფუძ დემიის მიმღები კომისია განიხილავს წარ ილ კანდიდატთა საკონკურსო გამოცდებ ბის საკითხს.

საბუთების ჩამონათვალში შედის ყველა კუმენტი, რომელიც მოეთხოვება შს ორგ სამუშაოდ შემსვლელ პირებს, ამასთან ერ ფოტოსურათი ზომით 4X6-ზე, საშუალო ანმანათლებლო სკოლის ან მასთან გათან სასწავლებლის დამთავრების ატესტატი ან მი (დედანი), აკადემიური შეფასების დანა რადღობის მოწმობას (პასპორტს), სამხედრ ან მიწერის მოწმობას აბიტურიენტები წარ ნენ პირადად.

საბუთები მიიღება შს სამინისტროს კად მმართველოში — 15 ივლისამდე.

აკადემიაში შემსვლელთა სიმაღლე არ 175 სმ-ზე ნაკლები.

**გამოცდები შსს აკადემიაში მოეწყობა 1 ა ტოდან 20 აგვისტომდე,** ჩარიცხვა 25 აგ

აკადემიის მსმენელები არიან სრულ სა კმაყოფაზე და უზრუნველყოფილი იქნებიან ნდიით, საერთო საცხოვრებლით, ფორმის მლით და კვებით.

აკადემიის დასწრებული სწავლების გან ბაზე ჩარიცხულ შს ორგანოების თანამ შეუნარჩუნდებათ ხელფასი.

**აბიტურიენტთათვის 20 ივლისიდან ჩატარდება კონსულტაციები და ღია კარის**

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლ რთოთ შსს აკადემიის მიმღებ კომისიას.

**აკადემიის მისამართია: ვლდანის რაიონი, შესახვევი № 1, ტელეფონები: 68-08-13, 68-10-08.**

---

## დაცულია თუ არა საქართველოს ენერგოსისტემა?

ეს თავად განსაჯეთ იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომლებიც საქინფორმის კორესპონდენტს თენგიზ ჩხიკვაძეს მიაწოდეს საქენერგოში. 1992 წლის იანვრიდან 1995 წლის მაისის ჩათვლით პერიოდში საქართველოს ენერგოსისტემა 22-ჯერ გამოვიდა მწყობრიდან, რის გამოც ენერგიის მიწოდება უწყდებოდა რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონს და საერთო ზარალმა რამდენიმე მილიარდი რუბლი შეადგინა. ძირითადად ეს ხდებოდა უცნობი პირების მიერ სხვადასხვა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი საზების აფეთქების გამო (16-ჯერ). უმეტეს შემთხვევაში კი დამნაშავეები იპარავდნენ კილომეტრობით სპილენძის სადენებს. ექვსჯერ მოხდა თბილისის სახელმწიფო ელექტროსადგურის ავარიული გამორთვა, და აქაც, ისევ და ისევ, ძირითადად, მოიპარეს სპილენძის კაბელები. რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოების ძალისხმევის მიუხედავად, ამ დანაშაულობათა დიდი უმრავლესობის ბრალეულთა ვინაობა დღემდე არ არის დადგენილი. ამ დანაშაულის კვალიფიკაცია ასეთია — ქურდობა შემდგომი გამდიდრების მიზნით. მაგრამ, ალბათ, ეჭვი არავის არ ეპარება იმაში, რომ ქვეყანაში უმწვავესი ენერგოკრიზისის პირობებში ასეთი ქმედობა კვალიფიცირებული უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ როგორც დივერსია. გაურკვეველია ისიც, თუ ამჟამად საერთოდ რა დონეზეა დაცული საქართველოს ენერგოსისტემა მსგავსი ბილწოფისაგან.

---

საქართველოს პარლამენტში

## ჩემს წასვლას რაიმე სხვა საფუძველს ნუ დაუდებთ, ითხოვს გადამდგარი მინისტრი

18 ივნისს საპარლამენტო სხდომაზე კულტურის მინისტრმა დავით მაღრაძემ, ყველასათვის მოულოდნელად, გადადგომა გამოაცხადა. ეს ფაქტი დიდი მსჯელობის საგანი არ გამხდარა. შეიძლება ამის მიზეზი სხდომებს შორის მოახლოებული შვებულების გაწყობილება ან ის დაბნეულობა იყო, მოულოდნელობა რომ იწვევს ხოლმე ადამიანში. ვერ ვიტყვით. ერთი კია, რომ ეროვნული ბიბლიოთეკის სავალალო მდგომარეობის, იქაურ გაფიცულ თანამშრომელთა მოთხოვნებისა და ამასთან დაკავშირებით თავისი კონკრეტული წინადადებების მოხსენების შემდეგ, მინისტრმა პარლამენტარებს თავის მტკიცე გადაწყვეტილებაც ამცნო. ფოიეში გამოსულმა დავით მაღრაძემ ჟურნალისტებს გვითხრა:

— ჩემთვის ეს ნაბიჯი ტრაგედია არ არის. გადაწყვეტილების მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სახელმწიფოსაგან ისეთი უპირველესი საზრუნავის დასაცავად, როგორიც ერის საუნჯე და საგანძური — კულტურული მემკვიდრეობაა, — ჩემი მინისტრობის მანძილზე ბევრი არაფერი გაკეთდა, მხოლოდ მოთხოვნად, თხოვნად, ბრძოლად დარჩა. არ ვამბობ, რომ კარგად ვიბრძოდი და სხვა ხელს მიშლიდა, უბრალოდ, მოხდა ისე, რომ... ხელოვნების მუზეუმი გაიძარცვა, ეროვნული ბიბლიოთეკა უკიდურეს მდგომარეობაშია, არადა, იყო რაღაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები, შველა შეიძლებოდა, მე იმას კი არ ვამბობ, სხვა საქმეები უმნიშვნელო იყო-მეთქი, მაგრამ ჩემი ღრმა რწმენით, მნიშვნელოვანია ის, რაც უპირველესად საშველია. ამ პრიორიტეტების განსაზღვრისას ჩემი პოზიციები, ასე თუ ისე, აცდა დღეს არსებულ ტენდენციებს.

რა არის უპირველესი დასაფინანსებელი ან საზრუნავი? მაგალითად ძეგლთა დაცვის სამმართველოს დაფინანსების აუცილებლობაზე ხშირად ვამბობდი აღმასრულებელ ხელისუფლებაში, მაგრამ მიზერულადაც არ მოხერხდა ეს. მესმის, რომ საქართველოს დაქცეულ ხაზინაში არ არის სახსრები, მაგრამ თუ უპირველესისათვის არ არის, მაშინ არც სხვისთვის უნდა იყოს. ამას ვერ გავართვი თავი. რა თქმა უნდა, იყო ობიექტური მიზეზებიც და სუბიექტურიც, მაგრამ როგორც შემეძლო ისე ვიბრძოდი. შეიძლება უფრო მეტად უნდა მებრძოლა.

დღეს ამ პოსტს ვტოვებ, რადგან ვფიქრობ და მჯერა, რომ ჩემი მინისტრობის დროს ვერ მოხერხდა კულტურული მემკვიდრეობის შველა. შეიძლება სხვის დროს მოხერხდეს, სხვამ უკეთ გამოიდოს თავი, ან უკეთ მოეხმარონ, უფრო ამოუდგნენ მხარში, რაც მე მაინც და მაინც ვერ ვიგრძენი. არ მინდა ჩემი ეს ნაბიჯი ვინმემ სათავისოდ გამოიყენოს, საქართველოში იმის საბაბი არავისთვის მიმიცია, რომ ჩემს გულწრფელობაში ეჭვი შეეპაროთ. და თუ ვინმე ამ გადადგომას სხვა რაიმეს დაუდებს საფუძვლად (თუნდაც ჩემს მხედრიონელობას), ეს ამ ყველაფრისთვის სხვა სახელის დარქმევის მცდელობა იქნება. ამიტომ ვამბობ, ჩემს გადადგომას სხვაგვარად ნურავინ შეაფასებს, დაარქვით ის სახელი, რაც არის.

გარდა ამ მოულოდნელობისა, გუშინწინდელ სხდომაზე კიდევ ერთი სიახლე იყო: პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ დეპუტატებს აცნობა, სხდომები კვირის გამოუტოვებლად გაიმართება, სადღეღამისო რეჟიმით ვიმუშავებთ, შეწყვეტილია ყოველგვარი მივლინება თუ შვებულება, დასწრება განსაკუთრებით აღირიცხებაო. პროტესტი არავის გამოუთქვამს.

ამ კვირაში პარლამენტს 63-საკითხიანი დღის წესრიგი აქვს ამოსაწური.

**რუსუდან ლორთქიფანიძე.**

---

## მადლობის სიტყვები

**ჩვენმა** ოჯახმა სხვებთან ერთად დიდი ტრაგედია გა აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით. განსაკუთრებით ერი და ფიზიკური ტრავმა მიიღო ჩემმა დამ მარინა ხ ლაგვილავამ (ხუთი მცირეწლოვანი შვილის დედამ) — იგი ურად დაავადდა.

ქუთაისის სარაიონთაშორისო ფსიქო-ნერვოლოგიური დის რის კოლექტივმა (მთავარი ექიმი ჟუჟუნა დოლაქიძე) დიდ ლისყურით მოუარეს ჩემს დას. არ შემიძლია რა აღვნიშნ ნალი ექიმის **რაფიელ დავითიაშვილის** დიდი გულისხმი მედდების **დინარა ღვინეფაძის, ცისანა ფანცუაშვი ლელა ქვათაშიძის** ყურადღება ავადმყოფებისადმი.

მათი ზრუნვის შედეგად ჩემი და მთლიანად განიკურნა და ფრთილი დაუბრუნდა თავის შვილებს.

ჩვენი ოჯახის სახელით მადლობას ვუძღვნი ამ შესანიშნავ ლექტივს.

**ქეთევან ჩხაი**

ლტოლვილი გალის რაიონ

---

## ექიმთა უცხოეთში სპეციალიზაციის ქართულ ფონდთან არსებული უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტი“

**აცხადებს** აბიტურიენტთა მიღებას 1995-96 სასწავლო წლის სპეციალობით „სამკურნალო საქმე“.

სკოლა ამზადებს სპეციალისტებს ექიმის საერთაშორისო სერტიფიკატის მოთხოვნათა შესაბამისად.

მისაღები გამოცდა ჩატარდება 1995 წლის ივლისში ტესტირებული პრინციპით ქიმიასა და ბიოლოგიაში ინგლისურ

სწავლა დაიწყება 1995 წლის 28 აგვისტოს და წარიმართება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

დაწვრილებითი ცნობების, მისაღები გამოცდის პროგრამებისა და სპეციალური ლიტერატურის მიღება შეგიძლიათ ფონდის მისამართზე:

თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 27/29, მეხუთე სართული, ოთახი 508, ტელ.: 39-55-09.

ფონდის გამ

---



## გ ზ ა დაელოცოს!..

**დავით** ციმაკურიძე, რობერტ შავლაყაძე, შოთა ხაბარელი, ვახტანგ ბალავაძე, ვლადიმერ ბარქაია, თემურ ყაზარაშვილი, ნოდარ მოდებაძე... იშვიათია შემთხვევა, როცა სახელოვან სპორტსმენთა ასეთ თანავარსკვლავედს ერთად ნახავს კაცი. კიდევ უფრო საკვირველია, მათ რომ საერთო ზოგადსაკაცობრიო საზრისით გამთლიანებულებს ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებად წარმოგიდგენენ. ამჯერად, სწორედ ასეთ გამონაკლისთან გვაქვს საქმე.

11 ივნისი, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ ქარელელებს. ამ დღეს ქართლის გულში დაფუძნდა საქართველოს სპორტსმენთა კავშირის (სსკ) რაიონული ორგანიზაცია. ახალი, ჯანსაღი სულისა და სხეულის პოპულარული ათლეტებით დაკომპლექტებული პოლიტიკური ძალის პროგრამაზე, მიზნებსა და პერსპექტივებზე დამსწრეთ ესაუბრა სსკ-ის თავმჯდომარე ედიშერ მაჩაიძე. საპატიო სტუმრებს მიესალმნენ რაიონის გამგებელი თემურ გოჩაშვილი, პროფესორი რობერტ ბაშლიძე, ქალაქ ქარელის მერი ვანო კაცელაშვილი, ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი, ვეტერანი სპორტსმენი გივი რამიშვილი, ადგილობრივი გაზეთის რედაქტორი ვასილ მამულაშვილი და სხვები.

შემდეგ გაიმართა არჩევნები. საქართველოს სპორტსმენთა კავშირის ქარელის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ აირჩიეს ქალაქ ქარელის ახალგაზრდა, ენერგიული მერი ვანო კაცელაშვილი.

სპორტსმენთა კავშირის რაიონული ორგანიზაციის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ **ვანო კაცელაშვილმა** ჩვენთან საუბარში თქვა:

— სპორტსმენთა კავშირის შექმნით საქართველოს პოლიტიკურ სპექტრს მართლაც ავტორიტეტული ორგანიზაცია შეემატა, რაც ქართული სპორტის პროპაგანდის კიდევ ერთი უტყუარი საშუალებაა.

ქარელის რაიონმა საქართველოს ბევრი სახელოვანი სპორტსმენი გაუზარდა. მაგალითისთვის მარტო შოთა ჩოჩიშვილისა და შოთა ხაბარელის დასახელებაც კმარა. ქარელში ბევრი პოტენციური ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონია. მათ ხელშეწყობა და თანადგომა სჭირდებათ. ამ მიზანს მოემსახურება ჩვენი რაიონული ორგანიზაცია. ალბათ, იცით, რომ კავშირში მხოლოდ სპორტსმენები გაერთიანდებიან, მაგრამ გვეყოლება მხარდამჭერებიც. დღეს ქართულ სპორტს განსაკუთრებით სჭირდება ხალხის შემობრუნება, ხალხის მხარდაჭერა. ყველა ჩვენგანის ვალია მხარში ამოვუდგეთ, მიუხედავად ამ გაჭირვებისა, გვერდით დავუდგეთ ახალგაზრდა, ნიჭიერ თაობას. საქართველო, უწინარესად, ქართულმა კულტურამ და სპორტმა ასახელა და მომავალშიც ასე უნდა იყოს. ჩვენი კავშირის თავმჯდომარის, ბატონ ედიშერ მაჩაიძის დიდი იმედი მაქვს, მისი ენერგიულობა და საქმისადმი თავდადება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ ჩვენ შევძლებთ ქართულ სპორტს დავუბრუნოთ ძველი დიდება. მეიმედება თანამოაზრეთა დიდი გუნდიც, ყველა ენთუზიაზმით შევუდექით საქმეს და, ვფიქრობთ, ქარელის რაიონი კვლავ შეავსებს ქართველ ოლიმპიელთა და მსოფლიო ჩემპიონთა საამაყო სიას.

შოთა ჩოჩიშვილის, შოთა ხაბარელის, ჯემალ მჭედლიშვილის, მალხაზ ბერუაშვილისა და სხვა გამოჩენილ სპორტსმენთა მშობლიური რაიონის დიდი პოტენციური შესაძლებლობები კარგად გამოჩნდა დღის ბოლოს, როცა სტუმრები ქალაქის საჭიდაო დარბაზში გამართულ „ფალავნობაზე“ მიიწვიეს. დინამიური, უკომპრომისო ბრძოლის შემდეგ რაიონის აბსოლუტური ჩემპიონობა ქართულ ჭიდაობაში ლევან გულიაშვილმა მოიპოვა.

**ბონდო მძინარაშვილი,**
**გია პლატონიშვილი.**

---

## უეფას საჩუქარი

**ხანგრძლივი** ავადმყოფობის შემდეგ სამსახურს დაუბრუნდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბატონი **ნოდარ ახალკაცი.**

ნიშანდობლივია, რომ მისი „გამოჩენა“ ამაღელვებელი ფაქტით აღინიშნა. უეფას აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების დახმარების ბიურომ სფფ-ს ბავშვთა ასაკის ფეხბურთელებისათვის საჩუქრად 3 და 4 ზომის 290-გრამიანი ბურთები გამოუგზავნა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა 4-4 ბურთით დააჯილდოვა რესპუბლიკის ის საფეხბურთო სკოლები და კლუბები, რომლებიც სტაბილურად აწვდიან კადრებს ქვეყნის სხვადასხვა ასაკის ნაკრებ გუნდებს და კეთილსინდისიერად საქმიანობენ. ესენია თბილისის „ნორჩი დინამოელი“, „მთვარის გლობუსი“, „კოდაკო“, 35-ე სკოლა, „მაისი“, „ვაკე-91“, „არგანი“ და „ავაზა“, ქუთაისის „ტორპედო“ და განათლების განყოფილება, ვანი, კასპი, ზუგდიდი, ფოთის „კოლხეთი“, ხობის სკოლა-ინტერნატი, გორის „ორბი“, ველისციხის „მიგი“, ლაგოდეხი და რუსთავი.

როგორც ითქვა, უეფას ყურადღება საქართველოს არც მომავალში მოაკლდება. ასე მაგალითად: წლეულსვე ნავარაუდევია ჩვენი ბავშვებისათვის ფორმების უსასყიდლოდ გამოყოფა (განაცხადი უკვე გაგზავნილია).

დავძენთ, რომ ბავშვთა ფეხბურთის ქართველი სპეციალისტები სულ უფრო აქტიურად თანამშრომლობენ საერთაშორისო ასოციაციასთან. ამის დასტურად მხოლოდ ერთ ფაქტს დავასახელებთ: ახლახან ნორვეგიაში გამართულ უეფას მორიგ სემინარში მონაწილეობდნენ ჯ. თანანაშვილი და გ. მუმლაძე.

---

## ყურადღება!

**ვაქვეყნებთ** იმ მოქალაქეთა მონაცემებს, რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მიმართეს განცხადებით საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის თაობაზე:

1. **პეტრე აკიმის ძე ვარივოდა,** მცხ. უკრაინა, კიევის ბორისპოლის რაიონი, სოფ. სტაროე.
2. **ვალენტინა ვიტალის ასული ანდრეევა,** მცხ. უკრაინა, ნიგოვი, მურისონის ქ. 7.
3. **ინა ივანეს ასული სარქისოვა,** მცხ. ქ. თბილისში, კანდ ქ. № 8, ბინა 85.

მოქალაქეებს, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და ორგანოებს, რომელთა მიმართ საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის მსურველ პირს აქვს ქონებრივი ვალდებულებანი ან შეუსრულებელი მოვალეობები, ვთხოვთ, გამოქვეყნებიდან თვის ვადაში მიმართონ იუსტიციის სამინისტროს და წარმოადგინონ აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულება, სასამართლოს გადაწყვეტილება, სააღმსრულებლო ფურცელი და სხვა.

**მისამართი:** 380092, ქ. თბილისი, გრიბოედოვის ქ № 19. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამმართველო.

ტელ.: 996798, 990344, 990523, 934291.

---

## მე-3 სამკურნალო ცენტრთან არსებული სამედიცინო კოლეჯი

**აცხადებს** მიღებას მე-9 და მე-11 კლასის კურსდამთავრებულების შემდეგ სპეციალობებზე:

**ბებია ქალი, საერთო მედდა, სტომატოლოგიური.**

**სწავლება მხოლოდ დილის საათებშია.**

საბუთები მიიღება ყოველდღე 9-დან 16 საათამდე, ქ. № 1-ში. მეტრო „მარჯანიშვილი“ და „ვაგზლის მოედანი“. ტელ.: 95-79-11.

მთავარი რედაქტორი გურამ ბოჯიაშ